ზურა
მელიქიძე

ზურა მელიქიძე

პუმ საწოლს მიაშურა

გამომცემლობა “გეოიდი 2011”
თბილისი 2014 წ.

პუმ საწოლს მიაშურა

ავტორი: ზურა მელიქიძე
დამკაბადონებელი: მეგი ლაფუაჩი

ISBN: 978-9941-0-7135-5

მელანქოლიური ოცნების გუშაგი, მშვიდი ედრიენი და მარტოსული პაბლო...

(გოგონას, რომელიც 14 წლის ასაკში
"Rammstein"-ს უსმენდა და რომლის
კვალიც არცერთ სარკეში
აღარ არსებობს...)

შესავალი ანუ შესასვლელი

ეს არაფერი ზამთრის გაუსაძლისად გაყინული რეალობის საფარქვეშ მოხდა... ოცნება... ბურუსი... ნესტისა და ყინვისგან ჩამომპალი კედლები და ერთი საცოდავი ნათურა, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო... ნათურა, რა თქმა უნდა, არ ანთია... შიგადაშიგ მობილური ტელეფონის ფარანია გზამკვლევი, რომ, თეთრ ფონზე, საოცრად ბანალურ ჯიბის გალაქტიკაში შენი ტრივეალური და ამბიციას მოკლებული, ანუ ამბიციით გაჟღენთილი მცირედი მოხაზო...

ხაზი გაგიყვანს... თუ გაყევი, აუცილებლად გაგიყვანს...

ძალიან ცივა... მაშინაც... ახლაც... ყოველთვის... სიცივე ერთადერთი მოვლენაა, რომელსაც ქმედითუნარინობას მოკლებული და მინუსების პიკში გასული მგრძნობელობით გრძნობ...

მოქმედების, ანუ უმოქმედობის მთავარი და პრინციპში, ერთადერთი ადგილი - ხის საცოდავი საწოლი... (ჰაერი იორთქლება... საბანი სიცივეს ვერ აკავებს...).

C პუნქტი

მელანქოლიური ოცნების გუშაგს მხოლოდ დგომა შეეძლო, ეულად დგომა და ნეკა თითებში ჩაბუდებული ნოსტალგიის ერთგულად დარაჯობა...

მშვიდ ედრიენს მხოლოდ წრეზე შეეძლო სიარული... ის საიდანაც იწყებდა, იქვე ამთავრებდა და მერე თავიდან... მან მილიარდ სამასი მილიონ რვაათას ოთხას შვიდჯერ ნახა საკუთარი ათვლის წერტილი და მხოლოდ იმიტომ არ შეიშალა, რომ ამის ნება საკუთარმა სიმშვიდემ არ მისცა, რომელიც პირადი მორალივით დაუდიოდა არტერიებში...

მარტოსული პაბლო კი, მხოლოდ და მხოლოდ, ჭადრაკის პრინციპით გადაადგილდებოდა, როგორც დაფაზე... მხოლოდ ერთი უჯრით შეეძლო გადაადგილება და მხოლოდ ერთ უჯრაზე მიუწვდებოდა ხელი, საკუთარი თავიდან გამოსული წინააღმდეგობების საკლავად... ერთი შეხედვით, მისი მთავარი დილემა იმის ცოდნა უნდა ყოფილიყო, მეფეა თუ პაიკი, მაგრამ, მას არ შეეძლო განესაზღვრა პირადი მღელვარების ტრაექტორია და შეედგინა საკუთარი კომპასი, რომ, გაეცნობიერებინა მიმართულება, ანუ გაეგო, საით მოძრაობდა... მხოლოდ წინ, მხოლოდ დიაგონალზე, თუ ყველა მხარეს, თითო უჯრედზე... ერთი სიტყვით, მან უკვე დიდი ხანია დაასკვნა, რომ საკუთრი სამყაროს მეფეა და... (გაუმარჯოს საკუთარი სამყაროს მეფეებს!!!)

B პუნქტი

მელანქოლიური ოცნების გუშაგი დედამიწის ცენტრში იდგა და თავს არ სწევდა...

მოლოდინების ცისფერ კალენდარს დამბლა დაეცა...

- კრისტოფ შნაიდერ, ადექი, მოყევი გაკვეთილი! - და პატარა კრისტოფი მერხიდან დგება, ისე, როგორც პატარა თილი, რიხარდი, პაული, ოლივერი და თქვენ წარმოიდგინეთ, კრისტიან ლორენციც...

გადის დრო და მათ იციან, რაზე საუბრობს ყველა სარკის მამა...

....

ნოსტალგია კარგავს თამაშის ხალისს... ეს ყველაფერი მერე ხდება...

მანამდე ...

სიღრმეებს ეკირკიტება... თავს ებრძვის... სხვასაც ებრძვის... დაუსრულებელ ძიებაშია... თავს ეძებს... ამას არ აღიარებს... ან აღიარებს მხოლოდ განსწავლული უცოდინრობის კონტექსტში... ბევრი ქვეტექსტი აქვს... ძალიან ბევრი... აპერსონაჟებს მათ, ვინც ძალიან უყვარს... მეგობრებს... ძირითადად მეგობრებს და კიდევ, ვიღაც ნაბიჭვარ ქალს, უღიმღამო ბოჰემის შარავანდედით მოსილს... და კიდევ, შვილს, რომელიც არ ჰყავს და თან გრძნობს, სულ გრძნობს... ეთანხმება ფროიდს... რამოდენიმე ბწკარი, შტაინერის მორალის შესახებ და სხვა ბევრი უმნიშვნლო, ფირფიტული შრე მის pain-ში...

PAIN - დიდი, წითელი წარწერა კედელზე... საწოლთან...

მილიონი ფატალური შედეგი... სადღაც, შუაში...

ეს არ გავს იმას, რაც თვითონ სურდა...

პუნქტი A

ისევ საწოლი... ისევ ყინავს... კედლებმა წვეთები მოისხა...

[00: 47 am]

მშვიდი ედრიენი იჭერს კალიას და შუბლში ინახავს... ის შიშველია... მას ჯიბე არა აქვს...

კალია წრეზე შეხვდა... წრის რომელიღაც მონაკვეთზე...

მშვიდი ედრიენი მომენტით არ სარგებლობს და არც "MOMEHT"-ით სარგებლობს...

ფრჩხილებზე შავი ლაქი... ალაგ-ალაგ გადაფხეკილი...

შეიძლება ითქვას, რომ ფსკერზე აზრი არა აქვს, შავი ლაქი სუფთად გისვია, თუ ალაგ-ალაგ აფხეკილი გაქვს, მაგრამ, ფსკერზე ალაგ-ალაგ აფხეკილი ლაქი უფრო თბილია...

სითბოს პასტელური ფერების ასოციაცია მოაქვს... უფრო სწორად, პასტელურ ფერებს მოაქვთ სითბოს ასოციაცია, თორემ, სითბო ისედაც სითბოა, პასტელში გადაწყვეტილიც და აქაც, ამ გაუსაძლისად გაყინულ ღამეში...

კედლებზე წყლის პატარა ბუშტუკები... აკვარიუმი იხრება თავქვე და პირაღმა ხედავ ჭერზე ნესტის ობის ვარსკვლავებს...

უსამართლობასთან მებრძოლი არარსებობა თავქვე ყირავდება ამ ცივ უფსკრულში...

ძილი გაიფიცა!!!

თუმცა, ძილი ქარხნის მუშა არ არის და არც ტროლეიბუსის მძღოლი...

ის გაიფიცა!!!

გალაქტიკა მღვრიეა... ტროლეიბუსის მძღოლებმა არ იცოდნენ, რაზე მიუთითებდა ყველა სარკის მამა,

მაგრამ, ისინი ატრიალებდნენ ტროლეიბუსის საჭეს და მიდიოდნენ... აუცილებლად და საგულდაგულოდ დადგენილი მარშრუტით...

ლენინმა თვითონაც არ იცოდა, რას ბოდავდა... არც ახლა არ იციან, რას ბოდავენ... სულიერი პროსტიტუცია ნებადართულია, ისევე, როგორც მინერალური წყალი... ყველაფერი ლეგალურია, რაც გაკნინებს...

არ უფიქრია ედრიენს, მისი სახელი კნინობით-ალერსობით ფორმაში უბრალოდ ედი იქნებოდა თუ დრი... დრი უფრო ჟღერადია, მაგრამ, ედრიენი სიმბოლისტურ ჟღერადობებს არ ეტანება და არც ეტენება... ის წრეზე დადის...

არალეგალურია მასაჩუსეტსელი, ბრუკლინელი, კონექტიკუტელი, დეტროიტელი და ხაშურელი ჩუვაკების ფრთები...

არალეგალურია ანტენა, რომელიც აზრებს იჭერს...

ჯამი ჭურჭელია...

ფინჯანიც ჭურჭელია...

იური გაგარინი გმირია...

rammstein ჯგუფია...

ყველაფერი ქრონიკულია... რაც მთავრდება, რაც უცებ მთავრდება და რაც ძალიან მალე მთავრდება, მაინც ქრონიკულია... მხოლოდ ეგაა, რომ, ძილი გაიფიცა...

არცერთი არხი არ ირხევა ყოფის სრულყოფისათვის...

ასტრიდ ლინდგრენი თბილია... ძალიან თბილია...

საწოლის თავთან, კედელზე წყლის წვეთებია... ნესტის ბუშტუკები...

ურნათერაპია სასარგებლოა...

რა სარგებლობა მოაქვს შოკს?

PAIN - წერია დიდი წითელი ასოებით... (რომც არ ეწეროს, ეგ ეგრეა).

ნუ ეძებთ ნოვაციას...

გაიღიმეთ, გიხდებათ...

სასადილო პუნქტი-მედ პუნქტი-ვულკანიზაცია-ბალანსირება-გამოსირება...

- თქვენ საჭიროებთ თავში ჩახედვას... ნების, უფლების, გემოვნების ვენტილაციას...

მარტოსულმა პაბლომ არ იცის, რაზე ესაუბროს გაუხედნავ დინოზავრებს, რომლებიც, რატომღაც, ისევ აქ არიან...

მარტოსულმა პაბლომ დანამდვილებით იცის, რომ მეფეა, მაგრამ, გვირგვინი მარტო ოქროსი როდია...

მარტოსულ პაბლოს ბევრი სმენია იესო ნაზარეველის შესახებ და ცოტაც წაუკითხავს... მისი გვირგვინი ბევრმა აბუჩად აიგდო და მაგიტომაც იყვნენ ბევრნი...

მარტოსულ პაბლოს გაუგონია, რომ, ერთეულის მცნება ამპარტავნობაა...

ლოგიკა დილეგია... გოლიათური, გიგანტური დილეგი...

პროფესიით არქიტექტორმა, მოწოდებით არქეოლოგმა და შინაგანი ბუნების კარნახით ქორეოგრაფმა დიდმა ბაბუამ ერთი კომფორტული ბოსელი აუგო და ძირითადი შემოსასვლელი კარის, ანუ წინკარის ნაცვლად, სათადარიგო კარი დაუყენა... მას ღრმად სწამდა და მიაჩნდა, რომ, თადარიგიანი კაცი იყო...

მაგრამ, საბოლოოდ, მაინც მილიარდ სამასი მილიონ რვაათას ოთხას შვიდი მათრახი გადაიწნა და განუტევა... სწორედ მაშინ, როცა მარტოსული პაბლო ერთ მშვენიერ სიმღერას ასრულებდა...

ჰეი, ჰეი...
მღერიან ელნათურები...
ღამის სკვერში სიჩუმეა,
კატა ბუბლიკს ჭამს...
საბუხრიდან ნუ ჩაძვრები,
გაიმურები...
რა კარგია, ახალი წლის
ჯადოსნური ცა...

ჰეი, ჰეი...
ფერად ბუშტებს ზღვის ჰაერი აქვთ...
ტაში, ტაში!!!
მრავალნაირ მოდას მივსდიეთ...
გავედევნოთ მინიმალის ერთფეროვან ტაქტს...
ხის ტოტებზე მოვეფეროთ
ყვითელ ნიბლიებს...

(ბაგა-ბაღის გამოსაშვები საღამოს სიმღერა, რომელიც დაწერა ერთფეროვანმა ჯეიმს ფლეგმამ, რადგანაც, თავის დროზე ის გამვლელებს საინტერესო უცნობად მოეჩვენათ... სიმღერის შესრულება მიზანშეწონილია, თუ აღმზრდელს თავი ნულზე აქვს გადაპარსული, ცალი "ჩულქი" აცვია და ისე უკრავს ორღანს... ხოლო ბავშვებს ამ სიმღერის შესრულებისას კისერზე უნდა ეკიდოთ ბანანის ჩირი, სოლისტს ხელში უნდა ეჭიროს ელექტრო ხერხი...).

კონტრაპუნქტი

(მოქნილი მაქმანივით მოქნეული მოქმედება)

მშვიდმა ედრიენმა თავზე საბანი წაიფარა და ჩასვლა დაიწყო... სიღრმე - მილიარდ სამი მილიონ... დეტალებში ვერ გაზომა... თვალი ფსკერს ვერ ხედავს... ემოციურ დონეზე გრძნობს, რომ, ფსკერი თბილია... "თევზები ბედნიერები არიან"- დაასკვნა მელანქოლიური ოცნების გუშაგმა... მარტოსული პაბლო კი თავის საწერ მაგიდასთან ზუსტად ამ დროს განავრცობდა თემას- "თევზები ბედნიერები იბადებიან და ბედნიერები კვდებიან... ისინი ზღვის ვარსკვლავებს ხედავენ 23 საათი და ამაზე ბედნიერებისგან ლაყუჩებში ეღიმებათ... ღიმილი 1 საათის განმავლობაში გრძელდება..."

მშვიდმა ედრიენმა ბეტონის ნაცრისფერი კონსტრუქციების სამყაროში ამოყო თავი... ეს იყო წყალქვეშა მშენებარე შენობა... მაღალი კორპუსები, კიბეების გარეშე... ოღონდ, ეგაა, სართულები ზევით კი არ მიდოიდა, როგორც ეს მაღალ (და არა მარტო მაღალ) შენობებს სჩვევიათ, არამედ, ქვევით, სიღრმეებში, ფსკერისკენ...

"მშენებარე კორპუსებს სანამ კიბეებს მიუშენებენ, ხის კიბეებს მიადგამენ ხოლმე, რომ ავიდნენ და შენება გააგრძელონ, მაგრამ, რიგი შემთხვევებისას, როცა მშენებლობა წყალქვეშაა, კიბე ფუნქციას კარგავს... უბრალოდ, ჩაყვინთე... და კიბეების დამმონტაჟებლებს ამ დროს სრული უფლება აქვთ, გაიფიცონ, მაგრამ, ამით ისინი ვერანაირ სარგებელს ვერ ნახავენ..." - წერდა თავის მოხსენებაში მარტოსული პაბლო... კედლიდან კი მისი დიდი ბაბუა უბღვერდა- პრო-

ფესიით არქიტექტორი, მოწოდებით არქეოლოგი და შინაგანი ბუნების კარნახით- ქორეოგრაფი...

“წყალქვეშ ისიც კი არ გაინტერესებს, ლუდი გაძვირდება თუ არა...” - გაიფიქრა მელანქოლიური ოცნების გუშაგმა და პირველად თავის სიცოცხლეში, ჩაყვინთა...

ფანჯრები ჯერ არ იყო ჩასმული... “ფანჯრებს ალბათ არც არასოდეს ჩასვამენ წყალქვეშ...” - მარტოსულმა პაბლომ თავისი ესსე ბოლოსწინა აბზაცით დაასრულა და მელანქოლიური ოცნების გუშაგს კისერში ხელი წაავლო...

- რეგვენო! შე რეგვენო! უვიცო! დგახარ და არაფერს ისეთი მონდომებით დარაჯობ... და არც კი გესმის... ვერც კი ხვდები... პირდაპირ, სიტყვები არ მყოფნის... შე უვიცო!... ლუდი რომ გაძვირდეს, ლუდის მოყვარულები, მუცელა, მუცელქორა და მუცელგოჭა კატეგორიები მას მაინც იყიდიან... ლუდისტებიც, ნუდისტებიც, პაციფისტებიც... ყველა იყიდის... მიუხედავად ფასისა... და რა ხდება ამ დროს? მიპასუხე! მითხარი, რა ხდება-მეთქი ამ დროს, შე ტუტუცო?!!!- მარტოსული პაბლო ღრიალებდა... მანქანასავით ქაქანებდა... ძაგძაგებდა და ყურებიდან ორთქლს უშვებდა... ის ვერ ახერხებდა გაჩერებას, რადგანაც, მთელი ამდენი ხნის განმავლობაში, მილიარდ სამი მილიონ რვაათას... (დაზუსტებით დაკონკრეტება ვერ შეძლო...) მარტო წერდა... მხოლოდ ერთხელ იმღერა და მეტყველებით, თან დიალოგური ფორმით, პირველად ამეტყველდა, ამიტომ, ის მაგრად ჩაჰფრენოდა მელანქოლიური ოცნების გუშაგის კისერს ძლიერი თითებით და საოცარი გულწრფელობით ანჯღრევდა... და იმდენი ბუშტუკი იქმნებოდა ამ დროს მათ გარშემო, წყალში, რომ

ამ მოვლენის ხათრით (მონე, მანე, დალი, პიკასო ან ვინსენტი აუცილებლად დახატავდა) კედელმაც კი წყლის ბუშტუკები მოისხა... მელანქოლიური ოცნების გუშაგმა კი პირველად ჩაყვინთა ამდენი დგომის და ერთგულების შემდეგ, ამიტომ, ის მოხიბლული იყო იმ სილამაზით, რაც წყალქვეშ იხილა... (და ამაში ბეტონის იმ ზონზრეხა, ნაცრისფერმა კონსტრუქციამაც კი ვერ შეუშალა ხელი) ამიტომ, მას არ შეეძლო პასუხი გაეცა მარტოსული პაბლოსთვის, რომელიც მას საგულდაგულოდ ანჯღრევდა კისრით... და ამ ნჯღრევასა და გაწამაწიაში, ის დაიხრჩო... მას გაუწყდა კისრის მთავარი არტერია და როცა მარტოსულმა პაბლომ მის ცხედრადქცეულ, მრავალწლიანი დგომისა და დარაჯობისგან დაღლილ სხეულს ხელი გაუშვა, ის ნარნარად და ჰარმონიულად წავიდა ზღვის ვარსკვლავებთან, თევზებთან და ფერად ნიჟარებთან... ფსკერზე...

საძილე პუნქტი...

(არავინ არ ეძებს და არავინ არ პოულობს)

მშვიდმა ედრიენმა იგრძნო, რომ სხეული დუნდებოდა... მას ძილი იპყრობდა... ქუთუთოები მძიმდებოდა და ბურუსი იმ არარსებულ ფორმასაც კარგავდა, რაც გააჩნდა... საწოლის თავთან, კედელზე წყლის ბუშტუკები კიაფობდნენ, მაგრამ, მშვიდი ედრიენი ამას უკვე ვეღარ ამჩნევდა...

ბაგა-ბაღის გამოსაშვებ საღამოზე სპილოები კრემიან ნამცხვარს ჭამენ... კენტავრები სტრიპტიზის ბოძზე ცეკვავენ და ხომალდები ერთმანეთის გაოგნებით ოგნდებიან...

ორგანულად ქრონიკულ და მექანიკურ სამყაროში, იქ, სადაც 3+3-1+2001007 არავინ არ იცის რამდენია... იქ, სადაც ბოლომდე არაფერს მისდევენ და მაინც, კრიტიკის სინდრომით შეპყრობილები, წვდომის სურვილის საკუთარ თავში აღმოჩენაზე კომპლექსდბიან, კედელზე გაჩენილ ნესტის ბუშტუკებს ანტიდეპრესანტულ აბებად არიგებენ... პატარა, ერთჯერად ქაღალდის ჭიქებში ყრიან და ყველა მშობელი ბედნიერია... აღმზრდელს თავზე ყურებიანი ქუდი ახურავს და NIRVANA-ს მაისური აცვია... სოლისტს ხელში ელექტრო ხერხი უჭირავს და ყურებამდე ბედნიერია... სხვა ბავშვებიც იღიმიან... გამჭირვალე, ცისფერ კაბებში... ყველა ბავშვს ეს კაბა აცვია... მაქმანებიანი და უადგილო... ჭერზე დასტინ ჰოფმანის უხარისხოდ გადიდებული პორტრეტია გადატანილი და იმის პატივსაცემად, რომ, ერთ დროს, თილიც, კრისტოფიც, რიხარდიც, ოლიც, პაულიც და თქვენ წარმოიდგინეთ, კრისტიან ფლაკე ლორენციც მერხთან იდგნენ და მასწავლებელს პასუხობდნენ, ყველა მერხზე RAMMSTEIN-ის უზარმაზარი ლოგოა ამოტვიფრული...

ნათურები ციმციმებენ... მალე სანტა-კლაუსიც მოვა... ბავშვები ჩქარობენ... სიმღერა უნდა მოასწრონ...

ჰეი, ჰეი...
მღერიან ელნათურები...
ღამის სკვერში სიჩუმეა...
კატა ბუბლიკს ჭამს...
საბუხრიდან ნუ ჩაძვრები,
გაიმურები...
რა კარგია, ახალი წლის ჯადოსნური ცა...

ჰეი, ჰეი...
ფერად ბუშტებს ზღვის ჰაერი აქვთ...
ტაში! ტაში!
მრავალნაირ მოდას მივსდიეთ...
გავედევნოთ მინიმალის ერთფეროვან ტაქტს...
ხის ტოტებზე მოვეფეროთ
ყვითელ ნიბლიებს...

სხვენში ნაპოვნ, ძველ სათვალეს
თუ გაიკეთებ,
მის გაბზარულ მინებში თუ გაიხედები...
დაინახავ სიხარულს და
მრავალ სიკეთეს...
და ძუძუებს აღიგზნებენ ტყეში ირმები...

ჰეი... ჰეი...
ჰეი... ჰეი...
ყველა აქ არის...
ჰეი... ჰეი...
სამი... ოთხი
კოვზი შაქარი...

მორალპუნქტი - დასკვნაპუნქტი...

ლუდი თუ გაძვირდა, ლუდს მაინც იყიდიან, მაგრამ, თევზის საყიდლად ფული აღარ დარჩებათ... ეს იმას ნიშნავს, რომ, თევზებისთვის სულ ერთი არ არის, ლუდი გაძვირდება თუ არა...

2010

კატა

26. ღამე

რატომ მეგრძვით სულ?... სულ რატომ შფოთავთ?... დაუწიეთ მაგ ძველ რადიოს, თორემ ლითონის კუბიკები ცვივა ყელიდან...

კლავიატურაზე ტკაცუნობს შიზოფრენია... ჯერ არ გაფრენილა... ჯერ აქ არის...

კატა გადამეყლაპა...

ლუპით გადიდებული სიზმრების გჯერა?... კანის უჯრედების?...

მშია... იმდენი ვჭამე, გული მერევა...

ნუდისტები რომ იყოთ არ გინდათ?... ნუდისტი კაცები და ქალები... ქალები დ აკაცები...

ჟირაფი...

მე მაგალითად...

არა, მართლა კი არ გადამეყლაპა... კნუტები ყავს...

ამას ახლა სჯერა, რომ არსებობს... ამას ახლა სჯერა ასე, თორემ... ამის ცხოვრებაში "ახლა" და "მერეც" რომ იყოს, რატომღაც...

დავიწყოთ იქიდნ, რომ ცალი თვალი მოილია, დაპატარავდა... თავის თავში ჩაიკეტა და ჩაქრა... რაღაცეებს ეგეც ხედავდა...

ეს ყველაფერი მთლად დალაგებული ვერ არის... უნდა ვიწვე ახლა მე და მახსოვდეს...

კატა გადაგყლაპვია? რას გადავეკიდე... მიყვარს... უნდა მეძინოს... (წესით) აქეთ გადავქანდები... იქით... ერთ წამსაც არ გათხოვებს, რომ, მიეყუდო...

ძილი მევაჭრება... დიდხანს ვერ გაძლებს ასეთ პოზაში... ცხოვრებასაც აქვს აბზაცები... უხერხულია...

გესმოდათ გუშინ როგორ ჩუმად იყო სიჩუმე?... წუხელ...

მატარებლები მიდიან...

ზურგზე თუ მუცელზე?

კიბე ჩაუშვი...

კი არ გაჩუმდება ახლა... არ გაჩუმდება...

უხერხულია...

იქ ვიჯექი მეც... ისეთი ბლაგვი...

26. დღე

ნამსხვრევები...

და შენც ამაგი გაქვს ამ სიჩუმის დემონტაჟზე... ბავშვივით გაზარდე... მოგიბრუნდა და ყურადღებას გთხოვს... ხომ გესმოდათ, გუშინ როგორ ჩუმად იყო?... განა დაგინდო?... ნერვებზე გეთამაშებოდა... ისეთი ლამაზია და გამომწვევი... კატის ენერგია აქვს და გაბუტული ქვედა ტუჩი... სისხლისფერი... უფრო და უფრო ბლაგვი ვჩანვარ... ყოველი გაჩერებისას... ყოველ ჩასუნთქვაზე... ფილტვები იხსნება და ხედავ, ვარდისფერი დილა როგორი რუდუნებით და ნეტარებით იპარება კანქვეშ...

ზურგზე თუ თავქვე?... ვერ დაიძინე... გეკაიფებოდა და უსმენდი...

სტვენა?...

ჰო...

ტვინში... თითქმის ტვინში...

პერიოდულად...

ოთახის ოვალი და გახსნილი ხორციდან ამოზრდილი სათვალთვალო, გამადიდებელი მინით...

დაინახე...

შენც ხედავ...

მობრძანდით!... მე დაგპატიჟეთ? (არ მიპასუხებს, უსმინე, როგორ კრუტუნებს, პირდაპირ ჩემს ტანზე აჭმევდა დედამისი ძუძუს... თან ლამაზია და რატომ უნდა მიპასუხოს?...)

ჰო, ალბათ ველოდებოდი...

მერე რა?

ვიცი ჰო!... კი არ ველოდებოდი, საშინლად განვიცდიდი უმისობას... ტვინი მტკიოდა და კბილებიც... მთელი ხერხემალი უმაგისობის უჩინარ ძაფზე მაქვს ასხმული... მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ველოდებოდი...

გუგუნებს... გაიწელა... (რატომ გეუბნები ამას?)

ქარი შემოვიდა ოთახში... შემოვიდა... შემოსვლების ციკლია... ვარქმევ შემოსევას... ერთი სკამი... ორი სკამი... სამი სკამი... ოთხი სკამი... ხუთი სკამი... (მეექვსე კარებზეა მიყუდებული)

... რომ ოთახი სკაფანდრს არ დაემსგავსოს...

სისულელეა, ისევ სიგარეტი მინდა...

მოწევა კლავს! მოწევა იწვევს წარსულში გასეირნაბას... ნოსტალგიას იწვევს ვახშმად და ნიკოტინის ულუფები, ნაცრისფერ ლამბაქებზე...

თავმომწონე ნარცისი ვარ... უნდა მოვწიო...

რატომ ვგავარ მონსტრს?... ვარ თუ არა მონსტრი? ვარ თუ უბრალოდ, ვგავარ?... "უბრალოდ" მომეწონა, კარგი იყო... 8 ქულა სიტყვისთვის "უბრალოდ"... ჰო, მონსტრი ხომ? ჯერ გამაგებინე, შენთვის რა არის მონსტრი და გეტყვი, ვგავარ თუ არა, ან ვარ თუ არა... აა, ჩემი აზრით? და იცი, ჩემთვის მონსტრი რა არის?...

მდგომარეობა, როდესაც დემაგოგია ჩანასახშივე

უაზრო და უადგილოა, განვრცობას არ ექვემდებარებზა... და ეს იმიტომ არა, რომ, მოწევა მინდა...

(წანაზარდი...) ... ვხვდები...

...

ნაფაზი...

ბავშვი კატაობს ველოსიპედზე... და კატაობს და კატაობს და კატაობს და კატაობს... ჩემს კატას კიდევ შია... კბილები უნდა გამოვიხეხო, თორემ პირში განავლის გემო მაქვს...

ბეჭები ამიორთქლდა... აი ასე, აღარ არის... არც წონა და აღარც მდგრადობა...

...

კბილები გამოვიხეხე...

სააბაზანოს კედელზე მიხატია თევზი და ცოდოა... ქაღალდის გემიც მიხატია, მაგრამ, ბავშვის ხელით გაკეთებულს არ გავს... არ იგრძნობა პატარა, სათუთი თითების ენერგია... ჰო, აკვარიუმი კიდევ და შიგ უშნო ყვავილი... უშნო ყვავილი, საყვარლად...

კონტექსტის გარეშე... (თუ ფიქრობ, რომ გარკვეულ სიტყვას, ანუ ადამიანის გარკვეულ ქრონოლოგიურ მდგომარეობას ხშირად ვახსენებ, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტო!).

კანი მძვრება... კანს ვიცვლი...

გესმოდა?... კედლებმაც იციან ეს ამბავი... სიჩუმის ბუშტუკებმა და კვადრატებად დაყოფილმა ჰაერმა... აი ამან, რომ ჩაისუნთქავ, ფილტვები ჩაგეხევა და ყელი კიდევ...

პათოლოგია...

სული მეკვროდა... იკვროდა... რაღაც წებოვანი აირით... (მე წინააღმდეგი არ ვარ...) პატარა ვარსკვლავთბიჭუნა წინააღმდეგი არ არის...

ნაღები... ფოტოკადრებად... ბურუსში და ესენი

კიდევ... ამათი... ეკამათებოდათ და კამათობდნენ... თამაში დასრულდა... ნულით ოცდახუთი... აუფ, ვითომ უღიმღამო მატჩის გულშემატკივრები რას იყვირებდნენ...

27. დღე

აქედან გავედით... ქალაქების ანატომია... (რა საცოდავობაა?) თვითმფრინავის სქელი მინა უხეში და სქელძირიანი ბათინკებივით ისხლეტს სიტყვებს... ბოლომდე ვერ შემოდის ამ დაგუბებაში... თავს არ მანებებენ, მაგრამ, დავინებე...

ნება...

გრძელი ღერძი... ბოლოში ცეცხლოვანი თავით... უსასრულობაში იკარგება... ჩემი ჰალოგენური განცდები...

მიწას ისე ეხები, თითქოს ნახერხის გროვა ხარ... ზედმეტად კომფორტული ტომარა... გრავიტაცია ჩამბარდა... დერეფნის ბოლოს ხიდის მოაჯირი... დავიჭირე და მუჭით ნაჭამი ეჭვების ღებინებას შევუდექი...

დასაქოქი, დასაქოქი ჰაერი...

გავედით... არაფერი წაგვიღია... ყველაფერზე მეცინებოდა, რასაც დავათრევდით...

ეჭვები გიჩნდება?

რა გაწუხებს?... რაც არ გაწუხებს... ადამიანის ტყავში...

მსუქანი სახედარი...

ვაკუუმი...

ამოვიდა... ჩავიდა...

ამოვიდა... ჩავიდა...

ამოვიდა... ჩავიდა...

ამოვიდა... ჩავიდა...
ამოვიდა... ჩავიდა...
ამოვიდა... ჩავიდა...
ამოვიდა... ჩავიდა...
კრუტუნებს და თათებს ილოკავს მზე... რძეს არ დამისხამენ? მეზარება თაგვების გაღვიძება... ყველა სოროზე საშობაო გვირგვინი კიდია...
შემდეგი...
ჰაერი, ჰაერი დასაქოქი...
შევუდექი ღებინებას ეჭვების ნაჭამი მუჭით...
მოაჯირი... ხიდის ბოლოს... დერეფნის...
ჩამბარდა გრავიტაცია... ტომარა კომფორტული ზედმეტად... ხარ გროვა ნახერხის თითქოს... ეხები ისე მიწას...
წითელი შუქი...შუქი არ მაღიზიანებს...
მოზარდი ზებრა... ლომის გაუპატიურება უნდა... ლომი ამაყია და კმაყოფილი და გაბუტული და ერო-გენულად რეგვენი ლომი...

ჩექმები ჩამაცვეს... ჩექმებიანი კატა... რა ვუყო ახ-ლა მე ამ ზებრას? ზოლები გადავურჩინო?

ათასხუთასჯერ ვიყავი ნისლი...
ათასხუთასჯერ ვიყავი ბავშვი...
ათასხუთასჯერ ვიყავი ბლაგვი... ბლაგვი და მიმ-ზიდველი...
ათასხუთასჯერ ვიყავი მამრი...
ათასხუთასჯერ ვიყავი ჟირაფი...
ათასხუთასი ფრედ დარსტი...
ათასხუთასი მაღაზიის ვიტრინა...
ათასხუთასი პლუშის სათამაშო...
ათასხუთასჯერ ვიყავი ნალექიანი ყავა და საშუა-ლო კლასის თამბაქო...

ათასხუთასჯერ ვიყავი საფერფლე...
ათასხუთასი ნაბიჯი უდაბნოს ქვიშაზე...
ათასხუთასი ბულვარი...
ათასხუთასჯერ ვიყავი თევზი...
ათასხუთასი საცეცი აქვს ჩემში პატარა კიბოს...
ათასხუთასი აბი დიაზეპამი...
ათასხუთასი ნაჭერი ტორტის...
ათასხუთასჯერ ვიყავი აბზაცი...
ათასხუთასჯერ ვიყავი მიწისქვეშა გადასასვლელი...
ათასხუთასჯერ ვიყავი ველოსიპედი...
ათასხუთასჯერ განვიცადე ანნეს ტვინის შერყევა ყინულზე...
ათასხუთასჯერ ვიყავი თოვლი და ლურსმანი მაცხოვრის მაჯაში...
ათასხუთასჯერ ვიყავი ევა...
ათასხუთასჯერ ვიყავი KoRn-ის ალბომის ყდა...
ათასხუთასჯერ ვიყავი იკას ნაფაზი...
ათასხუთასჯერ ვიყავი ჩემი შვილიშვილის პირსინგი ენაზე...
ათასხუთასჯერ ვითამაშე ვათასთან, სანდროსთან და გიოსთან რაკეტობანა...
ათასხუთასჯერ ვიყავი კარლსონი...
ათასხუთასჯერ ვიყავი svan song-ის ძველი კასეტა...
ათასხუთასჯერ ვიყავი ტბის ნაპირი და ცხელ ქვიშაზე წამოწოლა, სველი ტრუსის გასაშრობად...
ათასხუთასჯერ ვიყავი პაწაწინა ნატოს იაპონია...
ათასხუთახჯერ ვიყავი ქუსლი აქილევსის ფეხზე...
ათასხუთასჯერ დამხვრიტეს, თვითმფრინავის გატაცების გამო...
ათასხუთასჯერ ვიყავი აისბერგი...

ათასხუთასჯერ ვიყავი ათასხუთასი...

ათასხუთასჯერ ვიყავი ყველა სარკის მამის ნაამ-ბობი...

ათასხუთასჯერ ვიყავი ჩემი შვილის რძიანი ჭიქა...

ათასხუთასჯერ ვიყავი ხერხემლისმალა...

ათასხუთასჯერ ვიყავი სასკოლო ჩანთა...

ათასხუთასი ონანიზმი, მოზარდის ტვინში...

ათასხუთასჯერ ჩამოვტვირთე ხმლისფერი გემი...

ათასხუთასჯერ ვაპატიე ნატის...

ათასხუთასჯერ შევიყვარე ჩემი ელეგია...

ათასხუთასჯერ გავიხვრიტე მარცხენა ყური...

ათასხუთასჯერ ვიყავი ქაღალდის თვითმფრი-ნავი და ათასხუთასჯერ ვიტირე ჩემი ბუმერანგის-თვის, რომელიც ხეზე შერჩა მუშტაიდის ბაღში...

ათასხუთასჯერ შევიყვარე წითელი ქვიშა...

ათასხუთასჯერ დავიჯერე სანტას არსებობა და ნათქვამი ,,გინდაა?,,

ათასხუთასჯერ ვიყავი სუპერ მარიო...

ათასხუთასჯერ დავწერე ,,welcome,,…

ათასხუთასჯერ გამიჭყლიტა ნერვი ლავიწის ჩა-ტეხილმა ძვალმა...

ათასხუთასჯერ ვიყავი სახლი...

ათასხუთასჯერ ვიყავი მამა...

ათასხუთასჯერ ვიყავი წვიმა...

ათასხუთასჯერ ვიყავი ტრავმა...

ათასხუთასჯერ გადამექცა იდეალი საცოდავ ძუკნად...

ათასხუთასჯერ გავიკეთე სვირინგი მკლავზე...

ათასხუთასჯერ ვიყავი ვარდისფერი პლასტმასის ცხენი, სასაცილო ბორბლებზე...

ათასხუთასჯერ ვიყავი ბაბუაჩემის ზღაპარში მო-ყოლილი საზამთრო, რომელიც, ,,ჭირი იქა, ლხინი აქას,, წინ ყოველთვის კოსმოსში მიფრინავდა...

ათასხუთასჯერ ვიყავი ფრჩხილები, უადგილო წინადადებისთვის...

ათასხუთასჯერ ვიყავი უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი...

ათასხუთასჯერ მომირჩა ჩემი ძმის სისხლიანი ჭრილობა...

ათასხუთასჯერ ვიყავი წყალი... ჰაერი... მიწა...

ათასხუთასჯერ ვიყავი ბომჟი, ნარცისი, პრინცი...

ათასხუთასჯერ ვიყავი ჩემი სამყაროს მეფე...

ათასხუთასჯერ ვიყავი შავი ზღვის დაკარგული სანაპირო...

ათასხუთასჯერ ვიყავი ეგოისტი... ნუდისტი... პაციფისტი...

ათასხუთასჯერ არ ვიყავი ჰუმანოიდი...

ათასხუთასჯერ არ ვიყავი თავმდაბალი...

ათასხუთასჯერ!!!

თვითმფრინავის სქელი მინა უხეში და სქელძირიანი ბათინკებივით ისხლეტს სიტყვებს...

გადატვირთე...

02. ღამე

შენს საბანში გავეხვიე... შენს სუნს ვგრძნობ... ეს საწოლი ზედმეტად კომფორტულია ჩემთვის... მე შენი კატა ვარ, თუმცა, შენ ამას ნაკლები გულისყურით ეკიდები და დაუდევრად იმშრალებ სველი თმიდან ჩამონაწურ წყალს სახეზე და მხრებზე... საუბრისას იმდენად კომპლექსდები, რომ, ხანდახან, სიტყვების მაგივრად, მხოლოდ გაბმული, სტვენისმაგვარი ყუყუნი სცდება შენს ბაგეებს...

დავიწყოთ ბაბილონის გოდოლის მშენებლობა,

თუმცა, მე რას გიშველი, თაგვები ვერ გამიღვიძებია, მერიდება მათი მშვიდი და ჰარმონიული თვლემის... თან, რომც გიშველო რამე, ტყავიდანაც რომ გამოვ-ძვრე, მაინც ისევე მარტივად დაეცემა, როგორც შენ ეცემი ჩემს ნაცრისფერ სიზმრებში, სადაც თაგვები ვაშლის ღვეზელს აცხობენ და შენ მუხლისთავები გტკივა...

შენს საბანში გავეხვიე და თავი ჩავრგე შენს მიერ მიტოვებული, მოზარდი ემოციის გაღიზიანებულ ნაკეცებში...

შეიძლება გავგიჟდე! ჩემი ნერვებივითაა დაჭიმუ-ლი და მომართული ყველა თაგვის ხაფანგი... გუშინ მიმატოვა ძუ კატამ... შენც უარი თქვი ჩემს პატრო-ნობაზე... ფარული უარი... უთქმელობით და თვა-ლის არიდებით... შენ არ გინდოდა ყოფილიყავი ქალწული კატით, რადგანაც, თვლი, რომ ლომი ხარ და ცხელ თათს ილოკავ... ვინმე მოგიქცევს უფრო ცხელ ტორებში და ტკივილამდე გაგაყოფიერებს... მე კი, როგორ გავიქცე შენი ორივე მხრიდან გახსნილი ოთახიდან?... ვწევარ შენს საბანში და ლოცვის ძალა აღარ მაქვს...

02. დღე

ცხრა წუთში გაგაღვიძებ... შენ კი ამოტვირთავ თვალებს სიზმრიდან და დედა ეტირება საათის ინერციით შექმნილ სიჩუმეებს...

ცხრა წუთში დაირღვევა მთელი გალაქტიკის ბლაგვი მაჯისცემა... ნამძინარევი სახით დაჯდები სამზარეულოს პატარა მაგიდასთან და პირს დააღებ, თითქოს, სამყაროს გადაყლაპვა გსურს...

...

ყავის ჭიქას ორთქლი ასდის... ქვემოდან ვხედავ... ფსკერიდან ვხედავ და ფეხის თითები მეწვის...

...

ცხრა წუთში ისევ გავერთიანდები, რომ თავიდან დავინგრე...

03. დღე

ისუნთქე...
ჩაისუნთქე-ამოისუნთქე...
სუნთქვა მთავარია...
მთავარია, სწორად ისუნთქო...

გარდერობიდან გადმოვლენ... სახეზე მწერების საწინააღმდეგო პირბადეებით... ზურგზე მოკიდებული, შხამით სავსე ბალონებით...

- კატა ხომ არ გადაგიყლაპავთ?

- არა, ჩემს კატას კნუტები ჰყავს...

- არც სახურავიდან გადამხტარხართ არასოდეს? - პასუხობ, რომ, არა... თუმცა, ამის სურვილი... იქ, ზამთარში...

რამოდენიმე აბი წამახალისებელი ნაერთი...

- გაგონებთ თუ არა ფერადი ბუშტები გაბერილ ქონდომებს?

- არასოდეს ყოფილხართ კარი?...ან ფანჯარა...

წარმოვიდგენ, იღლიებზე ანჯამები რომ მქონდეს...

- საშინლად იქცევით და ეს თქვენს მეგობრებს... (ძველი გარდერობის კარზე სახეწაშლილი ბავშვის სტიკერი...)

- აკვარელში ხატავთ?

- სუნთქვა გიჭირთ?

- რატომ აწყვია თქვენი საწოლის თავთან რეზინის ფრატები?

- უცნაურად სუნთქავს... თითქოს სტვენს ცხვირით... (უნდა ვისუნთქო... სუნთქვა მთავარია...)

- ჩაის არ შემოგვთავაზებენ? (ჩემს გარდა სხვას, ეძებენ ამ ოთახში...)

ვიღაც წარმოიდგინეს... (მემგონი, თვითონაც არ სჯერათ...) პატრონის სახე შექმნეს და დაკიდეს ჰაერში...

- თქვენი კატა... აი ეს სულელი ცხოველი... (ის არ პასუხობს, მაგდენი ფანტაზია არ აქვთ...) მოკლედ, თქვენი კატა საწოლის ქვეშ იკმაყოფილებს ბუნებრივ მოთხოვნილებებს? (და კითხვას ისეთი ხელოვნური სახე აქვს...)

მემგონი, შევძლებ, ვისუნთქო...

თავი მომაბეზრა თაგვების პატიოსნებამ...

სხედან და ვაშლის ღვეზელს აცხობენ... დროში გაწელილი პროცესია... და ჩემი ეშინიათ... ოდესმე გამოცხვება... და შეჭამენ... და ნელ-ნელა აღარ შეეშინდებათ... და დამიკიდებენ...

სუნთქვა უნდა გავაგრძელო... სიგარეტი მინდა.....

04. ღამე

გარდერობის კარები აღარ იკეტება, შესაბამისად, გაღებაც აღარ უწევთ... გადმოდიან და რეზინის და პოლიეთილენის კომბინიზონები აცვიათ...

გარდე!...

აი ვის უკეთია ყველაზე უკეთესი აირწინაღი...

წინააღმდეგობა?....

მთხოვენ, რომ გავიხადო...

ათასხუთასჯერ ეცემა ჩემი ტრუსი იატაკზე... (დანარჩენი? არ მეცვა...)
ანკეტას ავსებენ...
- საყვარელი ცხოველი?
- რატომ ჟირაფი?
- საყვარელი ჟირაფი...

...ხვალვე დაკლავენ ყველა არსებულ და არარსებულ ჟირაფს დედამიწაზე...

- ეგზიუპერი... ესე იგი... აჰა, ასტრიდ ლინდგრენი...
- საწოვარა გინდაა?... აღუუ...
- ეს გოგო ვინ არის, სურათში?
- ,,ფხ,, რას ნიშნავს?
- და ,,დიდი,, როგორაა თქვენებურად?
ტემპერატურა ეცემა თითქოს...
ისინი გეკითხებიან ყველაფერს ამ არაფერში...
ნოტები მესმის... ბგერები... კანის უჯრედები ფართოვდება... იხსნება...
ვიხსენებ...
(უნდა დამესვენა... დასვენებას ვაპირებდი!...)
კანზე ყვავილები ამომდის...
,,ეს ბუნებრივია,,- ბუტბუტებს ვიღაცა...
ოთახის კუთხეები ამტკივდა... ჰგონიათ, რომ ტერორია...

- ეწევით?...
- ძალიან ცუდი... ... რამდენი წამია წამში?
- საათის ცნობა იცით?
- საათს ვერ ცნობს... (თავში ნემსს მიკეთებენ...)
- კლავიატურაზე წერა გეხერხებათ?
- ჩაწერე, როცა ასოები არ გარბიან... (ისევ მე მიბრუნდება) სუსტად ხარ?

სასხლავი მაკრატელი შემოიტანეს... ყვავილები იატაკზე ცვივა...

თავი დაანებეთ მაგ რადიოს, გაფუჭებულია... ვგრძნობ, რომ, ყბა გამეხსნა... რაღაც გამიკეთეს... ,,იმისთვის, რომ, ამეტყველდეს,, ამბობს ერთი... დამახასიათებელი არაფერი აქვს, რეზინის კომბინიზონის და შხამით სავსე ბალონების გარდა... არც პირბადე ანსხვავებს სხვებისგან და არც ეს ინექციით სავსე შპრიცი... მხოლოდ, ეგაა, ვიღაცამ მარჯვენა ბეჭთან საჩვენებელი თითისოდენა ჭრილობა რომ გამიხსნა, გული წაუვიდა...

არავინ შერხერულა... ჩემი კანიდან ამოზრდილი ყვავილების მომაკვდავ სხეულებში ეგდო...

- რატომ მებრძვით სულ?

- მგონი, აღელდა...

ჩაი შემოიტანეს...

ჯერ ჩაის დრო არ არის...

ჩაის არ ვსვამ....

ეს შაქარი, თქვენ რომ შაქარი გგონიათ, თაგვის წამალია...

სვამენ და იცინიან...

ყველა რაღაც არამიწიური ჟინით ელოდება ღვეზელში შეცხელებული ვაშლის გემოს...

ლოდინი პირბადეების უკან...

ლოდინი აირწინაღების მიღმა...

- უსუსური წარმონაქმნია, განუვითარებელი ფრთა...

წერენ ,,დეფექტი,, ... ჭრილობას აღარ ხურავენ... მხოლოდ, ვგრძნობ, კეფა როგორ მეწვის...

დავიწყების ინექციაც შეყვანილია...

გარდერობის კარზე ,,აქ არ ეწევიან,, გააკრეს... ძახილის ნიშანი დავიწყებიათ... ვფიქრობ... სადღაც მატარებელმა გაიარა... ბურუსში მივდივარ...

კადრი გადაქანდა... წამომაქციეს... ბეჭები ცივ იატაკს ეხება...

- აბორტი თუ გაგიკეთებიათ? - ჯერ ამას მეკითხებიან და მერე ნახულობენ სქესის გრაფას თავიანთსავე შედგენილ ანკეტაში...

უნდა ვისუნთქო...

ყავა მინდა...

ყელში მილს მიდგამენ...

დასკვნა- თაგვებს ვერ იჭერს, უვარგისია! პატრონს ეტყობა, მაგრად ჰკიდია!

ტვინიდან ბავშვობის სექციას ჭრიან... თან თვალს არ აშორებენ წელს ქვემოთ რაღაცას...

მარჯვენა მუხლი კანკალებს...

- გცივა?

- ეს რეფლექსია!

საკუთარი სიტყვები ძლივს გავიგე... თან ყელი მეტკინა...

- მალე ყველაფერი დასრულდება! - მამშვიდებენ...

რაღაც ორგანო (ღვიძლი თუ თირკმელი) სპირტიან სინჯარაში ჩადეს და დალუქეს... ვერ ვარჩევ... ცუდად ვხედავ... მარჯვენა თვალი საერთოდ გაქრა...

ქლორის სუნი ნესტოებს წვავს...

ბავშვობის სექციას კუსტარულად შეკრულ ურნაში ათავსებენ... მთლიანად...

- აი თქვენ პატარა წიგნაკი, მსუბუქი იდეების დასაფიქსირებლად...

(სულ ერთი ფურცელია და სქელი ყდა... რასაც ჩაწერ, მერე უნდა წაშალო, რომ ახალი ჩაწერო... არ ეტევა... ერთი იდეაც, უმნიშვნელო აზრიც კი არ ეტევა მთლიანად... მხოლოდ მოსაქავებლად გამოგადგება, ფანქრის წვერი თუ გექავება)

დამსკდარი ტუჩებით რაღაც ბგერებს გამოვცემ...

- კი... არა... კი... კი... არა... არა... არა... ზოგჯერ... ალბათ... თითქმის... კი... მიცდია... არა... არც ისე ხშირად... რაა? საათის?.....

ვარსკვლავი წყდება... მე კი ოცნება არ მაქვს... ოცნება არ მაქვს, თქვე ნაბიჭვრებო!!!.....

ურიკაზე გადამასვენეს და მიმაქანებენ... ძალიან ლამაზი ვარსკვლავებია ცაზე...

ერთი კითხვა მაქვს, - ახლა მაინც შევძლებ დაძინებას?

2010

კუმ სანოღს მიაშურა

“როდესაც შიშველი ხარ, შენი სითამამე უფრო მაკვირვებს, ვიდრე ძუძუები, რომელიც არ გაქვს... მაგრამ, ყველაზე მეტად ახლა ის მიკვირს, რომ გაკვირვების შეგრძნება დამრჩენია, ცოტა მაინც, რადგან, სულ ახლახანს წებოდან ამოვყვინთე და ჯერ კიდევ თავის კონტროლი მიწევს, რომ ასფალტს არ დავეწებო...”

ეს უკანასკნელი სიტყვები იყო, რომელიც პუმ ვერტიკალურ მდგომარეობაში წარმოთქვა და მერე საწოლში ჩაწვა... მას უნდოდა, რომ არავის გაეზიარებინა მისი ემოციები, რომლებშიც, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, ზუსტად იმდენი ნეგატივი იყო, რამდენის აღქმაც მასთან მოსაუბრის ყურის ნიჟარას შეეძლო... და საწოლი, რომელიც მისთვის ერთპიროვნულ ციხე-სიმაგრედ იქცა... “ჩემი საწოლი ჩემი ციხე-სიმაგრეა” - გაიფიქრა მან და ახალი გამონათქვამი (მის შემთხვევაში, გამონაფიქრი) მოეწონა. ადრე ის ამბობდა “ჩემი ფილტვი ჩემი ციხე-სიმაგრეა” და დეიდა ალბერტას ღრმა რწმენით, თავისი ასაკისათვის შეუფერებლად ბევრ ბალახს ეწეოდა... თუმცა, თუ ბიძია ალბერტს დავუჯერებდით, პუს ასაკის დადგენა შეუძლებელი იყო, რადგან, მისი თქმით, პუ ყველაზე ინფანტილური ყმაწვილი იყო, მათ შორის, ვისაც ბიძია ალბერტი იცნობდა... თუმცა, ბიძია ალბერტი იმასაც ხშირად ამბობდა, რომ სნობი და

ნარცისია და მერე დიდხანს და რუდუნებით აკანტურებდა თავს, მას შემდეგ, რაც თავის მონო გამოსვლას იმის ციტირებით ამთავრებდა, თუ რამდენად კმაყოფილია იმით, რომ ბავშვები არ იყოლია...

პუ ბალახს საკუთარი ეზოს უკან კრეფდა, მერე ახმობდა და ღამით, როცა ცაზე უამრავი ვარსკვლავი თვლემდა, სახურავზე წამოწოლილი ნებიერად აბოლებდა დიდი ბაბუის ჩიბუხიდან... სწორედ ასე გაიცნო პუმ მისი მეგობარი კენტავრი... მოგვიანებით, სწორედ ეს კენტავრი იქცა იმ ერთადერთ ადამიანად, ვისაც იგი თავის მონოკრატიულ სამფლობელოში,- „პუს ციხე-სიმაგრეში" უშვებდა...

იმ საღამოს, დეიდა ალბერტამ უგემური ვაშლის ნამცხვარი გამოაცხო... ბიძია ალბერტი დიდხანს და გულმოდგინედ ცდილობდა ყველანაირი ემოციის სახეზე აღბეჭდვისგან თავის შეკავებას... - "ხომ გემრიელია?" - დეიდა ალბერტას ეს შეკითხვა, სამარისებულ გარინდებაში კატეგორიული მოთხოვნა იყო დადებითი პასუხისა და როცა პუმ საცოდავად ამოილუღლუღა "დიახ, დეიდა, რასაკვირველია" და ლიმონათის ჩამოსასხმელად გრაფინს წაეტანა, უცებ ხელში საოცარი სისუსტე იგრძნო და მთელი მაგიდის გადასაფარებელი ჟოლოსფერი, გაზიანი სითხით დაიფარა... დეიდა ალბერტას არაფერი უთქვამს. ის არასოდეს საყვედურობდა პუს ჭიქის წაქცევისთვის, ან დაუბანელი ხელების გამო. ერთხელ იმასაც კი მშვიდად შეხვდა, როცა საკუთარი თვალებით იხილა, თუ როგორ იღებდა მისი საყვარელი ჩინური ლარნაკიდან პუ თავის საყვარელ გამხმარ ბალახს და მერე როგორ დიდხანს და უშედეგოდ ცდილობდა ამ ლარნაკის ნამსხვრევების საწოლის ქვეშ შემალვას... მაშინ პუ მთელი 2 თვით პატარა იყო... დეიდა ალბერტა ხელსახოცის მოსატანად გავიდა... ბიძია ალბერტმა კი, მისთვის

დამახასიათებელი, ზომიერი პაუზის შემდეგ თქვა -“რა კარგია, რომ ბავშვები არ ვიყოლიეთ...” პუს სევდა შემოაწვა, ოღონდ, ეს არაფერ შუაში იყო დაღვრილ ლიმონათთან და მით უმეტეს, ბიძია ალბერტის ჩვეულ ფრაზებთან... და ასე აღმოჩნდა პუ სახურავზე... და თითქოს სპეციალურად ამ მომენტისთვის, ცაზე უამრავი ვარსკვლავი თვლემდა...

პუმ პერანგი გაიხადა, რათა, სახურავზე დაწოლილს, უფრო ცხადად შეეგრძნო თუნუქის სითბო...

- ”ვარსკვლავები ძალიან ლამაზები არიან...” რატომღაც ხმამაღლა გამოუვიდა და ბალახს მოუკიდა...

- ჰო, უბრალოდ, ეგაა, რომ, სულ თვლემენ...- მოესმა სამტრედეს უკნიდან...

- მანდ ვინმეა? - პუ იდაყვებზე წამოიმართა და მზერა სახურავს მოავლო... -არის მანდ ვინმე?-გაიმეორა კითხვა...

ისევ არავინ გამოეპასუხა... “იქნებ მომეჩვენა?”- გაიფიქრა პუმ, მაგრამ, ის მაინც დაჟინებით უმზერდა სამტრედეს სახურავს...

- ჰო, კარგი, გამოვალ, ოღონდ არ დამცინო...-უპასუხა ბოლოსდაბოლოს ხმამ...

- რატომ უნდა დაგცინო?

- იმიტომ, რომ, კენტავრი ვარ...

- მერე რა?

- შენ მართლა ასე ფიქრობ? - და სამტრედეს უკნიდან კენტავრი გამოვიდა...

- როგორ „ასე“? - გაუკვირდა პუს...

- რა ვიცი... აი, როგორც თქვი...

- თუ ვთქვი, ესე იგი, ეგრეა... და შენ მართლა ეგრე ფიქრობ, რომ ვარსკვლავები სულ თვლემენ?

- ჰო, რა იყო?

- არც არაფერი... მეგონა, აქამდე მარტო მე მიმაჩ-

ნდა ასე...

- ჰოო... - კენტავრი სახურავის კიდესთან მივიდა და ქვევით ჩაიხედა...

- რა „ჰო"? - პუმ დიდი ნაფაზი დაარტყა დაკვამლი მცირე ხნით ფილტვებში გააჩერა...

- ესე იგი, შენთვის სასაცილო არაა კენტავრის ნახვა?

- გამოგიტყდები და კენტავრი პირველად ვნახე, მაგრამ, სასაცილო რატომ უნდა იყოს, მაინც ვერ ვხვდები...

- რას ეწევი?

- ჩემი ეზოს ბალახია... სახლის უკან იზრდება... უფრო სწორად, ბიძია ალბერტის ეზოს ბალახი...

- აქ ცხოვრობ?

- დროებით...

- რას ნიშნავს, დროებით?

- ეს დეიდა ალბერტას და ბიძია ალბერტის სახლია... 2 წელია, რაც აქ გადმოვედი... დედა სადღაც სხვა ქვეყანაში წავიდა დროებით და მეც ასე „დროებით"...

- რომელ ქვეყანაში?

- სახელს ვერ ვიმახსოვრებ...

- სახელი არ უთქვამთ... - კენტავრი კიდევ უფრო ახლოს მოიწია, ისე, რომ მისი სახის გარჩევა შესაძლებელი ყოფილიყო და პუმ გაიფიქრა, რომ ზედმეტად ჩვეულებრივი სახე აქვს...

- რა იცი, რომ არ უთქვამთ? - გაუკვირდა პუს.

- მაგ ქვეყანას უბრალოდ „სხვა ქვეყანას" ეძახიან უფროსები - ამოიოხრა კენტავრმა... და პუ მიხვდა, რომ ეს სწორედ მისი მეგობარი კენტავრი იყო... ის მეგობარი, სულ რომ ეძებდა...

და ასე გახდა ეს ერთი ჩვეულებრივი კენტავრი

პუს ცხოვრების განუყოფელი ნაწილი...რაც არ უნდა ეკეთებინა პუს, ეფიქრა ვარსკვლავების შორეულ თვლემაზე თუ თავის საყვარელი ბალახი გაებოლებინა დიდი ბაბუის ჩიბუხიდან, კენტავრი ყოველთვის მის გვერდით იყო, უსაზღვროდ კმაყოფილი იმით, რომ იმ ღამით, საშინელი მარტოობით სავსე, სწორედ ბიძია ალბერტის პატარა სახლის სახურავზე ავიდა და პუ გაიცნო... პუ მერეც ხშირად იწვა ამ სახურავზე, როცა ვარსკვლავები თვლემდნენ და კენტავრს თავისი დიდი ბაბუის, - ბიბუს შესახებ უყვებოდა...

- “აი რა, ჩემო კარგო, დიდი ბაბუა ბიბუ პირველი თეთრკანიანი იყო მსოფლიოში, რომელმაც დრედები გაიკეთა, მოგვიანებით ის ჯონათან დევისის ბიოგრაფიას კითხულობდა და წიგნი ბოლო გვერდზე ჰქონდა ჩაკეცილი, როდესაც განგსტერებმა მოკლეს...” - ამ ბოლო სიტყვების წარმოთქმისას პუ ყოველთვის ზეცას ააცქერდებოდა ხოლმე... კენტავრს ძალიან მოსწონდა ეს ისტორია, მის თვალში დიდი ბიბუ ნამდვილი გმირი იყო... მასაც ჰქონდა ერთი სევდიანი ისტორია პუსთვის, მაგრამ, ამას დიდი ხალისით არ ყვებოდა, რადგანაც, კენტავრს მიაჩნდა, რომ ეს ისტორია ნაკლებად სევდიანი იყო დიდი ბიბუსა და განგსტერების ამბავთან შედარებით, თუმცა, პუს მიაჩნდა, რომ სევდის ქულებით და ბალებით შეფასება დიდი სიბრიყვეა და ამიტომ, სიამოვნებით ისმენდა დედა კენტავრის გამომცხვარ ნამცხვარში ნაპოვნი მომაკვდავი ხოჭო ჰელიას ამბავს, რომელიც კენტავრმა ხელოვნური სუნთვით მოასულიერა, მას შემდეგ, რაც თავის რიგით მეხუთე დაბადების დღეზე საიუბილეო პიკნიკზე იპოვნა და მერე მასზე დაქორწინებას დიდხანს აპირებდა, სანამ ჰელიას თავისმა საქმრომ, - ემორმა არ მოაკითხა და შორეულ

ხოჭოვუდში წაიყვანა...

- “ემორს უბრალოდ გაუმართლა” - იტყოდა ხოლმე პუ, ამ დროს კი დეიდა ალბერტა სამზარეულოს მაგიდასთან განმარტოებული, საძილე ნაყენს სვამდა და ფიქრობდა, რომ ბიჭი ძალიან ბევრ დროს ატარებს სახურავზე მარტოდმარტო... დეიდა ალბერტამ არ იცოდა პუს მეგობარი კენტავრის არსებობის შესახებ, ალბათ იმიტომ, რომ, არავინ უწყის, ეს დაამშვიდებდა თუ არა უძილობით და საყვარელ დიშვილთან კონტაქტის ნაკლებობით შეწუხებულ საბრალო ქალს...

ისინი მეგობრობდნენ ხალხისთვის ძალიან გაურკვეველი და შორეული მეგობრობით, რადგან პირადად პუსთვის, სწორედ სხვა დანარჩენი იყო ისინი...

„ისინი აშენებენ ქალაქებს... ისინი თავის სახეს მალავენ და ერთმანეთს არ იცნობენ და ასე უცნობებად დარჩენილები, სხვა უცნობებს ოცნებებს პარავენ და კატაკლიზმებს ამწიფებენ... კატაკლიზმების იდეას მე მაინცდამაინც არ ვეთანხმები, ეს დეიდა ალბერტას აზრია უბრალოდ, ამ თემაზე ჩვენ სადილობისას და ვახშამზე ვსაუბრობთ ხოლმე, მაშინ, როდესაც არ ვდუმვართ, იმიტომ, რომ, სადილობისას და ვახშამზე ჩვენ ძირითადად ვდუმვართ, რადგან, ჩვენ მხოლოდ ამ ორ დროს ვართ ჩვენ და დანარჩენად ჩვენი ცალკეული ნაკუწების შეგროვებას ვუნდებით და სულ ესაა მერე ჩვენი ერთობა, სანამ საკუთარ მთლიანობას აღვიდგენდეთ... ეს იგივეა, ვინმემ უკანალი რომ მოგხოცოს... არც ისე სახარბიელოა, რადგან, ყოველთვის გირჩევნია, რომ ამას შენით აკეთებდე...”

მიუხედავად იმისა, რომ პუს ირგვლივ, პატარა პროვინციაში არც ისე ბევრი ადამიანი ცხოვრობდა, პუზე მაინც ვერ იტყოდი, რომ სოციალური იყო, კენ-

ტავრის არსებობის კი ხალხს საერთოდ არ სჯერა, ამის გამო ხშირად მოუყოლია პუს თავისი მეგობრისთვის თოვლის ბაბუის ამბავი... „ახალ წელს საერთოდ არაეფერზე არ ვფიქრობ, რომ ვიცი, რომ უნდა ჩავიფიქრო, სურვილები მიქრება...” ისე პუს თავისებური სურვილები გააჩნდა, სანამ საწოლში სამუდამოდ ჩაწვებოდა და ყველანაირ კონტაქტს გაწყვეტდა გარეშე პირებთან, რა თქმა უნდა, კენტავრის გარდა... ვფიქრობ, საწოლში მცხოვრები ის ვერასოდეს გაიგებდა, რა გემო აქვს თეატრალური უნივერსიტეტის სასადილოში ნაყიდ ლობიანს, მაგრამ, პუს ესეც ზეწრის პირზე ეკიდა... პუს ყველაფერი ეკიდა, სანამ თივის გოგონას არ შეხვდა... მაშინ პუმ იგრძნო, როგორ მოაწვა სისხლი სახეზე და როგორ გაეზარდა რაღაც... თითქოს მაშინ პუც გაიზარდა ცოტათი... თივის გოგონა ვინსენტის ნახატის ფერებში იყო გადაწყვეტილი... თივის კონებისგან ეზოში ლაბირინთი გაემართა და მის წინ ტრიალებდა, როგორც თითისტარი... პუს დანახვისას ის ლაბირინთში გაუჩინარდა... პუ მაშინ მწვანე ვაშლს შეექცეოდა და როგორც მერე დაასკვნა, ალბათ ძალიან სულელურად გამოიყურებოდა...

„ისინი აშენებენ თივის ზვინებს... ეს გოგონაც მათი რეალობიდან არის აღმოცენებული, ამიტომ, უნდა მივიდე და გავარკვიო, რას ყიდის... ისინი დაუსრულებლად ყიდიან რაღაცეებს...”

- რას ვყიდი?... მზეს... გინდა?
- მინდა?
- აბა, რა სულელური კითხვაა?
- ლამაზი კაბა გაცვია...
- მოგყიდო?
- მე შარვლით დავდივარ...

- აა...
- მართლა მზეს ყიდი?
- ჰო... აგიწონო?

პუმ წარმოიდგინა თივის გოგოს მიერ აწონილი მზე და მოეწონა...

„მას ალბათ ძალიან დიდი პინა აქვს... ისეთი, ხელისგულს რომ გავს, ოღონდ, უზარმაზარი... მას შეუძლია დედამიწის მანათობელი დისკო აწონოს... მე კი შემიძლია, მაკარონი ცხვირით ვჭამო...”

- როგორ ფიქრობ, ბევრი საერთო გვაქვს?
- ყიდულობ თუ არა?
- ვყიდულობ... - პუ აღარ დაფიქრებულა, ისე უპასუხა...
- ჰოო...
- რა ჰო?
- და რითი იხდი?
- არ ვიცი... ძველი კალეიდოსკოპი მაქვს... შიგნით ლამაზი სამყარო ჩანს...
- ეგ უბრალოდ, შუშის ნამსხვრევებია...
- შუშის ნამსხვრევებსაც შეუძლია, მოგაყენოს ტკივილი...
- და ამაში რა არის კარგი?
- ის, რომ, შუშის ნამსხვრევები სულაც არ არის უბრალო...

თივის გოგონა დაფიქრდა...

- იცი, ზედიზედ ამდენ ხანს არავისთან მისაუბრია...
- არც მე...
- მალე იყიდე მზე, თორემ, ჩავა...
- და რად მინდა, თუ მალე უნდა ჩავიდეს? მე ჩემი ვარსკვლავებიც მეყოფა...

- ჰოო? ჰო და, გყავდეს ეგ შენი ვარსკვლავები...
- რატომ არ მითხარი, ის მზე მერე ისევ ამოვაო?...
- იმიტომ, რომ ეს შენც იცი...
- მე მინდოდა, რომ შენგან მომესმინა...
- ჰოო? წადი და შენს ვარსკვლავებს მოუსმინე...

და თივის გოგონა თავისსავე აშენებულ ლაბირინთში გაუჩინარდა...

იმ ღამით პუს ხმა არ ამოუღია... უბრალოდ იჯდა სახურავზე და ხელები მაგრად მოეხვია მუხლებისთვის... კენტავრიც ჩუმად იყო... ის იდგა და ვარსკვლავებს ითვლიდა... ოღონდ, რატომღაც, სულ ეშლებოდა და მერე თავიდან იწყებდა...

გამთენიისას, პუ დასაძინებლად რომ დაწვა, ესმოდა, როგორ ლაპარაკობდა ძილში ბიძია ალბერტი, - „დაისვენე... რა ლამაზი ხარ... არ გინდა, რომ დაისვენო? ჩემსკენ მორბოდი და ვხედავ, როგორ დაგეკაწრა ფეხები... ალბერტა, გამოიტანე შენი მალამო... ყველაფერი კარგად იქნება... ყველაფერი გაივლის”...

პუს არ უძინია... ის კიდევ ერთი ნაბიჯით დაშორდა ძილს... მის გონებაში ახლა მხოლოდ თივის გოგონას მიერ უზარმაზარ პინაზე აწონილი მზე ტრიალებდა და რაღაც ყველაზე ღრმა კუნჭულს ათბობდა... მოეჩვენა, რომ სახურავზე მტრედმა გაიარა... შეიძლება, მართლაც გაიარა მტრედმა სახურავზე... პუმ შენიშნა, რომ ჭერზე უამრავი საინტერესო ფიგურის გარჩევა იყო შესაძლებელი და ჩათვალა, რომ ეს მამალი, რომელიც იქ ოდესაღაც ჩამოსული წვიმის კვალად დარჩა, ზედმეტად თავაზიანია, დილის ყივილისთვის...

არ ახსოვს, როგორ ცხოვრობდა, სანამ დედა სხვა ქვეყანაში წავიდოდა... როგორც დეიდა ალბერტამ უთხრა, მან გონი დაკარგა და აზრზე რომ მოვიდა

აღარაფერი ახსოვდა... მერე ფსიქოლოგებმა დაასკვნეს, რომ ეს იმუნიტეტია, მაშინ პუმ პირველად გაიგო სიტყვა „იმუნიტეტი“... „რა სულელური სიტყვაა?” - ფიქრობდა ის და თავის ძველ სათამაშოებს გაკვირვებული დასცქეროდა და რადგან ვერაფრით მიხვდა, რა იზიდავდა ერთ დროს მათში, მათგან მხოლოდ კალეიდოსკოპი დაიტოვა... „კალეიდოსკოპი“ - ამ უცნაური ნივთის სახელი ზუსტად ახსოვდა და ისიც იცოდა, რომ შუშის ამ ფერადი ნამსხვრევების უკან ადრეც ზუსტად იგივე სამყაროს ხედავდა, რასაც ახლა აქ, - „მეორე ცხოვრებაში”... დეიდა ალბერტას მიერ პუში აღმოჩენილი ყველაზე დიდი პოსტ-ტრავმული ცვლილება ის იყო, რომ თუ ადრე ბიჭი ამბობდა უბრალოდ „ჰოს“, ახლა ის ყველაფერზე ამბობს - “რა საკვირველია”... ბიძია ალბერტი კი თვლის, რომ ბიჭს უფრო მეტი დრო სჭირდება საკუთარ თავთან ურთიერთობისათვის და სწორედ ამიტომ არ შეიყვანა იგი სკოლაში...

- როგორ ფიქრობ, ისინი საერთოდ ამჩნევენ ვარსკვლავებს ცაზე? - ჰკითხა ერთხელ კენტავრმა პუს...

- უბრალოდ ისინი ყოველთვის იძინებენ ღამით ...-უპასუხა პუმ და რაღაც სევდისმაგვარი შემოაწვა...

- თივის გოგოც იძინებს?

პუმ იცოდა, რომ თივის გოგოს ყოველ ღამით ეძინა... სხვანაირად, ის ასე აგდებულად არ მოიხსენიებდა ვარსკვლავებს, მაგრამ, მას ეს ფაქტი რამდენადაც სევდისმაგვარ განცდას უტოვებდა, იმდენად ძალას ჰმატებდა, რომ უფრო მეტად ესმინა სიჩუმისათვის, რომ, შემდეგ შეხვედრაზე, უფრო ცხადად აეხსნა მისთვის ვარსკვლავების საიდუმლო...

-ორი ფეხი რომ მქონდეს, მეც გავიჩენდი ვინმე

„თივის გოგოს”...-ამოიოხრა კენტავრმა...

- როგორ ფიქრობ, გოგოები ფეხებს ითვლიან?- ჰკითხა პუმ...

- არა მგონია, მაგრამ...

- მგონი ისინი უბრალოდ, რთული არსებები არიან...

- იცი, ვარსკვლავის ჩამოვარდნისას თუ შევძლებ და მოვასწრებ, სამჯერ ზედიზედ ვთვა ჩემი სახელი, ან ბოლომდე ადამიანი გავხდები, ან მთლიანად ცხენი...

- და შენ რომელს აირჩევ? - დაინტერესდა პუ.

- არ ვიცი, ჯერჯერობით, რასაც ვაკვირდები, ადამიანებს ჰყავთ ცხენები და არა პირიქით...

მერე დიდი და მოსაწყენი კვირა დაიწყო... მთელი დღეები მარტო წვიმდა პუ რაღაც სისულელეებს აფერადებდა... ბიძია ალბერტი ბუხართან კონიაკს მიირთმევდა და ძირითადად თვლემდა, ხოლო დეიდა ალბერტა სრულიად გაიტაცა კულინარიულმა ექსპერიმენტებმა... გამოდიოდა და გამოდიოდა სამზარეულოდან ნაირ-ნაირი სურნელებანი და მერე... „რა საკვირველია, დეიდა ალბერტა, ეს ყველაზე გემრიელი კექსია, რაც მე გამისინჯავს...” „ო, ეს ღვეზელი მგონი მიცვალებულსაც კი გააცოცხლებს...” „თქვენ ნამდვილი ჯადოქარი ხართ, დეიდა ალბერტა, საკონდიტრო მაგი...” პუს ამ გამონათქვამებზე ბიძია ალბერტი ულვაშებს უკმაყოფილოდ აცმაცუნებდა, თქმით კი ისევ არაფერს ამბობდა, უბრალოდ, ჭამდა... წვიმა კი გადაღებას არ აპირებდა და პუს სულ უფრო და უფრო ენატრებოდა თავისი მეგობარი კენტავრი...

- ნეტავ ახლა რას აკეთებს? - აღმოხდა ერთ-ერთი „საოცრების“ დეგუსტაციისას...

- ვინ რას აკეთებს, საყვარელო? - დაინტერესდა

დეიდა ალბერტა...

- არ ვიცი, ისე ვთქვი...

- ერთ რამეს გირჩევ - ჩაერთო უცებ ბიძია ალბერტი, პუსკენ გადმოიწია და თვალებში ჩახედა - ისე ნურაფერს იტყვი ცხოვრებაში... ასე აჯობებს...

- ბიძია ალბერტ, კენტავრების არსებობა რომ რეალური ყოფილიყო, მათთან იმეგობრებდით?

- არა... იმიტომ, რომ, ჯობია წელს ქვემოთაც ის იყო, რაც წელს ზემოთ ხარ...

დეიდა ალბერტა ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გადასწია...

- ეზოში ამდენი თივა ნორმალურია?-იკითხა გულდაწყვეტით და გულდაწყვეტითვე დაამატა - მგონი მისტერ და მისის ფოქეთები უნდა ფიქრობდნენ თავიანთი ქალიშვილის საქციელზე...

პუ მიხვდა, ვისზეც იყო საუბარი... თივის გოგონა ფოქეთი ყოფილა... ო, როგორ გაუხარდა, როდესაც დეიდა ალბერტამ თივის გოგონა სახელით არ მოიხსენია... პუს ერჩივნა, რომ ის ისევ თივის გოგონად დარჩენილიყო და ამიტომ ყურებში საშინელი დაჭიმულობა იგრძნო, სანამ დეიდა ამ მონოლოგს ჩაამთავრებდა...

მერე წვიმამ უცებ გადაიღო... „ქალღმერთი არა, ტოროლა"... და პუც გამოერკვა უმიზნო ფიქრებიდან... ხელის ჩამორთმევას გავდა... კანის აძრობას... შობის ღამეს და ჟოლოს ლიმონათს ეს გამორკვევა... „მერამდენედ დავეშვი?"... სახურავზე მოუნდა ასვლა... „სველი იქნება"... იდაყვებში გააჟრჟოლა...

მერე დეიდა ალბერტა... ყოველთვის ეცოდებოდა, ამ სახელის გამო... „დეიდა ალბერტა, დეიდა ალბერტა, ეს ბლითები..."

ბლითები...

„ფოქეთები ბლითებს შეექცევიან?... ფოქეთები დუმნან სადილობისას და ვახშამზე?... და რაიმე ტრადიციული დუმილი ხომ არ აქვთ, პირადი?... ისეთი, ფოქეთური...”

სახურავზე რომ ავიდეს, ამის წინააღმდეგ უამრავი რამაა დაძრული, ჩართული, დაქოქილი...

1) იწვიმა...

2) დღეა...

3) იწვიმა და სახურავი სველია... სულ სველი...

4) ეს ბლითი უგემურია... ეს ბლითი უნდა დაამთავროს...

5) დღეა... დღის სინათლე და არანაირი ვარსკვლავები და არც კენტავრი...

6) ბიძია ალბერტის საათი... დაქოქილია და მომართული და ტრადიციული და დამიზნებული და საგანაჩენო...

7) აქ უნდა დარჩეს... კიდევ რამოდენიმე წუთით მაინც... ამ იდიოტურ მაგიდასთან...

8) ფოქეთებს ალბათ... ქალღმერთი არა, ტოროლა...

9) აღარ მინდა და თან მინდა და საერთოდ, ეს უნდა-მინდა... „გინდა-არ გინდა, ასეა”... მე მინდა შენ გინდა, მას უნდა...

10) არასოდეს აიძულო თავი... ჯობია, ახვიდე და გადმოვარდე, ან გადმოხტე, ან სახით ჩამოცურდე, ეს იძულება...

11) ფეხები გაუბუჟდა... სასაცილო მდგომარეობაში შერჩა მაგიდის კიდესთან...

12) ჰკიდია...

და საერთოდ და საერთოდ და საერთოდ, რას ნიშნავს ეს კლასიფიკაცია? ადამიანების ადამიანებად და კენტავრებად დაყოფა... ფოქეთები და არაფოქეთები... ისინი, ვინც სადილობისას და ვახშამზე ცხვირს

იჩიჩქნიან და ისინი, ვინც ამას არ აკეთებენ და ისინიც, ვინც ამას საერთოდ არ აკეთებენ... მათ სტატისტიკა უყვართ... არაკომფორტულია... მეტიც, ულტრა არაკომფორტული... უფრო მეტად, ვიდრე ძველ ნაცნობთან შეხვედრა, არადა, ამ დროს საკუთარი სხეულიც კი გეუხერხულება... ეს თივის ლაბირინთები სულ ერთი სულის შებერვაა... სული არ მაქვს... ალბათ, თავისებური სუნი მაქვს, ესაა და ეს... პუს ძველი ნაცნობები არ ახსოვს... არაფერი ახსოვს პუს ძველი ცხოვრებიდან... პუ ახლა ამ მაგიდასთან უნდა იჯდეს... „უნდა!“ გაეცინა... პუმ სიცილი იცის... ადგება და წავა... მაგრამ, ზის... ჰკიდია, მაგრამ, თან დაბუჟებულია... დაბუჟებული რომაა, ჰკიდია... ახლა დეიდა ალბეტას ეტყვის, რომ ლიმონათი დაუსხას... პირდაპირ სძულს ეს პროცესი, მაგრამ, ამაზე მეტად გრძნობების სიძულვილიდან სიყვარულისკენ და პირიქით მოხაზული და კლასიფიცირებული დიაგრამები სძულს და სძულს ერთი წარწერა- „მამაკაცის თმის შეჭრა - 3 ბუ, ქალის-5 ბუ“... უფრო უნდა ეცოდებოდეს, სიბრალული ნაწლავებს უნდა უმდუღრავდეს, მაგრამ, სძულს, იმდენად, რამდენადაც მასში სიძულვილი რაღაც შკალებად და დიაგრამებად, სიყვარულად არ ფორმირდება... პუმ უცებ იფიქრა, რომ ახლა სიჩუმეს გააფორმებს და პირადი სიჩუმე ეყოლება... აი ისეთი, ფილმებში ვითომ კაი ტიპ პოლიციელებს ტაბელური იარაღი რომ აქვთ და ცდილობენ, მაგარი ჯიგარი ტიპები იყვნენ... ჰო, მერე ვინმე ბავშვს სახურავიდან ჩამოიყვანენ (სასურველია, სახლს ცეცხლი ეკიდოს) და კომპოტის ხარშვისას, სამზარეულოში მოფუსფუსე დეიდები, ალბერტები და არაალბერტები, ამ კადრზე სენტიმენტალიზმის მოზღვავებას ვეღარ გაუმკლავდებიან და იტირებენ... იტირებენ... იტირებეეეენ!!! მიუხედავად ამისა, პუ უნდა ადგეს...

(„უნდა!”) გასაგებია, რომ, იწვიმა... ნუ, უფრო ფაქ-ტია და ჰო, ადვილად გასაგებიც... კიდევ, გასაგებია ისიც, რომ, ბიძია ალბერტის მაჯის საათი ყველაზე მახინჯი მაჯის საათია, რაც უნახავს, მეტი მაჯის სა-ათი ნანახი რომ არა აქვს, მაინც... რამე მაინც დარ-ჩენოდა სახურავზე... ეს ვარსკვლავები კიდევ, მალე გამოჩნდნენ... „გამოჩნდებიან და ეგრევე თვლემენ... აი, ამას არ სჭირდება კლასიფიკაცია... შკალა... სტა-ტისტიკა... იარლიყების აღლუმზე წასვლა და ხმის წასვლამდე 3 ბუ-5 ბუ-ს ძახილი...”

- საყვარელო, ლიმონათი დაგისხა?

ახლა გული აერევა... აი...

მერე თვალები გაახილა და ფოკუსი ძლივს გა-ასწორა... დეიდა ალბერტას შეშფოთებული სახე... სველი საფენები შუბლზე... ბიძია ალბერტი, ნაკლე-ბად შეშფოთებული სახით და ჭიქა წყლით ხელში... დეიდა ტემპერატურაზე მიუთითებდა... ჭერზე თა-ვაზიანი მამალი, წვიმის შედეგად დატოვებული... „ესე იგი, ჩემს ოთახში გადამიყვანეს... საწოლში ვწე-ვარ?... სიცხე არა, ტოროლა! ... ... ქალღმერთზე უფ-რო კარგად ჟღერს“... მამალი აქლემად გადაქცეულა, წვიმის დიდი მონდომების და გარჯის შედეგად და თავაზიანობაც დაუკარგავს, უფრო, შემართებითაა, მაგრამ, დილას აღარ გამოადგება, აქლემი დილას ვერ ქმნის, ვერც შემართებული და ვერც მოწიწებუ-ლი... „მოწიწებული“ !!! ქვემოთ წითელი ხაზით... „ზუსტად ისეთი სიტყვაა, იძულებით საწოლში ჩა-ტენილს და შუბლზე ცივსაფენდადებულს რომ უნ-და გიტრიალებდეს თავში, განსაკუთრებით მაშინ, სახურავზე ასვლას რომ აპირებდი”... - “საყვარელო, იღლია ასწიე”... დეიდა ალბერტა (რა ქნას, ასე ჰქვია) თერმომეტრს აცლის და სათვალეს უსათვალო თვა-

ლებით ეძებს, სულ მოათვალიერა საწოლის შემოგარენი... „ჩემს ოთახში, თან ორივე ერთად, რა საშინელებაა?”... ბიძია ალბერტი გავიდა... პუ ალბათ მთელი ცხოვერბა მადლიერი იქნება იმ შოუსი, ტელევიზორში რომ დაიწყო... მგონი, ავტომობილების ანტიკვარულ მოდელებს აჩვენებდნენ... ბიძია ალბერტის კმაყოფილების ქშენა საწოლამდეც აღწევდა, მეორე ოთახში... დეიდა ალბერტამ თქვა, რომ მალე მოვიდოდა...საწვიმარი ლაბადა ჩაიცვა, თუმცა, აღარ წვიმდა... ეს ლაბადაც, ბიძია ალბერტის მაჯის საათის არ იყოს... თუმცა, ასეთ სისულელეებზე გრძნობების დახარჯვა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება აშკარად არ ღირს... აქლემის ცქერაც უკვე მობეზრდა... კიდევ უფრო დაუკარგავს სახე... კონტური დაერღვა, უკანა კუზთან ჭუჭყიანი წვეთი ცდილობს, რომ მოგროვდეს, ერთი მთლიანობა რაღაც დონეზე მაინც შეიძინოს და... პირდაპირ პუს ეცემა წარბზე... „ვერაფერს იტყვი”...

პუ წამოხტა და გარეთ გავარდა... ბიძია ალბერტს არაფერი გაუგია... ანტიკვარული მანქანის მოდელი იმ წამს ეკრანიდან მგონი წითელი მერსედესი იყო. ერთი შეხედვით ასე ჩანდა, ჩარბენით თვალმოკრულზე... ბიძია ალბერტი ხვიხვინებდა... ეზოში ისეთი სუნი იდგა, წვიმის მერე რომ მზეა... ვიღაცამ თქვა, ეგ ოზონის სუნიაო... ღობესთან მივიდა... ამ ღობის იქით ფოქეთების სახლია, თუმცა, მანამდე ეზო უნდა გაიარო... ეზოში თივის ლაბირინთია... თივის გოგონაც ალბათ შიგნითაა... მაგრამ, ჯერ ეს ღობე... აი კიდევ ერთი საზღვარი... „საზღვარი არა...“ (ქალღმერთზე უკეთ ჟღერს) პუ ღობეს გადაევლო... ბარძაყი უხერხულად გამოედო და... „სისხლია, დიდი ამბავი მერე” ტრუსისამარა რომ არ ყოფილიყო, შარვალი დაეხეო-

და და დეიდა ალბერტა... თუმცა, დეიდა ალბერტა რა?... ლაბირინთში შევარდა... დაუფიქრებლად... “შიშველი ვარ... ცოტაოდენი სისხლი მდის... მერე კენტავრს მოვუყვები” - სიღრმეში გარბოდა და ფიქრობდა... რამოდენიმე ნაბიჯიც და თივის გოგონაც გამოჩნდება და პუ ეტყვის, რომ... და პუ ეტყვის, რომ... პუმ არ იცის, რას ეტყვის თივის გოგონას... პუ ინერციით დარბის ლაბირინთში... „ნეტავ ეს ლაბირინთი მარტომ ააშენა?” მაგრამ, ეს არაა მთავარი, პუ უკვე შიგნითაა... პუ მირბის და ანგარიშმიუცემლად უხვევს შესახვევებში... ყველა შესახვევი ერთმანეთს ჰგავს, არანაირი სხვაობა, არც ნიშანი, „უნდა”-სავითაა... “უნდა გახვიდე, უნდა მოხვიდე, უნდა იცხოვრო, უნდა დაიძინო, უნდა გაიღიმო, უნდა დაქორწინდე”... აღარც ესაა მთავარი... პუს ამაზეც აღარ ერევა გული უკვე... პუ გარბის და იცის, რომ სულ უფრო და უფრო უახლოვდება თივის გოგონას... ეტყვის, რომ ღობეზე გადმოძვრა... ეტყვის, რომ ფეხი იტკინა... ეტყვის, რომ სიჩუმე გაიფორმა... რომ წვიმის მერე მის ჭერზე მამალი აქლემად გადაიქცა და წარბზე დააფურთხა... ეტყვის, რომ კენტავრთან მეგობრობს (ნეტავ სადაა და როგორ არის?) ეტყვის, რომ ვარსკვლავები... ეტყვის, რომ ვარსკვლავები... პუს უნებლიე ერექცია აქვს... ახლაღა შენიშნა... არ იცის, რას ეტყვის... წინა ცხოვრებაში, დიდ და გლობალურ ამნეზიამდე, ის ალბათ ჩვეულებრივად, ერთ სიტყვად ჩამოაყალიბებდა ამ ყველაფერს... “LOVE” (ფუჰ!) პუს ისევ გული ერევა და თან ერექცია აქვს და თან ასეთ მდგომარეობაში... მორბენალი, შიშველი და ერეგირებული... „LOVE არა...“ (ჰო, ქალღმერთს უფრო უხდება ტოროლობა) და...

- შიშველი ხარ?

- .....

- და რაღაც უცნაურად... როგორ მომაგენი?

- .....

- უნდა წახვიდე... ვინ ხარ საერთოდ?

- მე ვარ... მე!...-ეს ისე თქვა, თითქოს ვიღაც ანჯღრევდა...

- მაშინებ... სისხლი გდის თან....

- .....

- იქნებ, გეთქვა რამე...

თივის გოგონა ისეთი მშვიდი იყო... თითქოს არც გაკვირვებია მისი იქ ხილვა... იქ, უზარმაზარი ლაბირინთის ეპიცენტრში... პუმ რაღაც უნდა უთხრას... ახლა პირს გააღებს და რამეს იტყვის... აი ახლა... გული ყურებში ცემს... თივის გოგონა მშვიდად ელოდება პასუხს...

- ქალღმერთი...

ისევ წვიმა წამოვიდა...

- რაა?

მსხვილი წვეთებია...

- კი არა და, ტოროლა...

თან ქარიც უცებ ამოვარდა...

- ტოროლა?

პუმ აღარ იცის, რა თქვას... პუსთვის სულ ერთია ახლა რას იტყვის... წვიმა ძლიერია, ორიათასჯერ ძლიერი, ვიდრე წვიმა... ქარი სახეში აყრის თივის ღეროებს... პირდაპირ თვალებში და პირში...

- შენი ლაბირინთი ირღვევა...

თმა, პირი-სახე მთლიანად დაეფარა თივით... აღარფერი ჩანს... თან ბურუსიც მძიმდება...

- ჰო, ალბათ დავიმარხებით... მოგწონს?- თივის გოგონას ხმა სადღაც შორიდან ისმის თითქოს...

- რა მომწონს?

- ქარი მოიტანე... ანარქია... დავიმარხებით...

ესეც არაფერია, ამასაც არა აქვს მნიშვნელობა,

მთავარია, რომ ახლა აქაა... აქ და არა სადმე სხვაგან... წამით ყველაფერი უკან დარჩა, ბიძია ალბერტის მაჯის საათი... ჟოლოს ლიმონათი... აქლემი... ბლითები... თერმომეტრი... საზღვრები და სტატისტიკური მონაცემები... კლასიფიცირებული ადამიანები, ადამიანებად და კენტავრებად... ორფეხებად და ოთხფეხებად... ფოქეთებად და არაფოქეთებად... ანტიკვარული ავტომობილების შესახებ გადაცემის მაყურებლებად და არამაყურებლებად... წითელ და ცისფერ მერსედესებად... ... ... იმარხება... ის კიდევ, ჩუმადაა... მგონი თეთრი სარაფანი ეცვა... „დამავიწყდა... ვერ ვიხსენებ... რა ჯანდაბამ ამომიტივტივა სიტყვა ქალღმერთი?" პუს გული აერეოდა, მაგრამ, მიხვდა, რომ ეს ახლა უადგილო იყო, ყველაზე უადგილო, რაც კი შეიძლებოდა ოდესმე ყოფილიყო... მოეჩვენა, რომ თივის გოგონას სიცილი ესმოდა... შეიძლება, მართლაც ესმოდა თივის გოგონას სიცილი, მაგრამ, პუს იმდენი რამ ესმოდა ერთად, რომ, საბოლოოდ, აღარაფერი ესმოდა, გარდა ერთი საერთო შხუილისა... თივის საკმაო საფარის ქვეშ სხეულმა სხეული მოძებნა... შეხება იგრძნო... მკლავი თუ მხარი... კანი იგრძნო, აი ისეთი ფაქტურის კანი, ვინსენტის ნახატის ფერებში გადაწყვეტილ ადამიანს რომ უნდა ჰქონდეს... და სადღაც დარჩა ის თეთრი სარაფანიც და სხეული სხეულთან დარჩა... დროებით თითქოს სისხლდენაც შეწყდა დაზიანებული ბარძაყიდან... ალბათ არასოდეს მოიჭრიდა ყურს... არცერთ ცხოვრებაში, მილიარდი ამნეზიაც რომ დამართნოდა, მაინც... სუნთქვა ჭირდა, მაგრამ, სუნთქავდა... ვერაფერს ხედავდა, მაგრამ, მისი სუნთქვაც ესმოდა... ხვდებოდა, რომ გონებას კარგავდა, მაგრამ, უხაროდა, რომ ამას წყვილში აკეთებდა... დეიდა ალბერტა ალბათ უკვე დაბრუნდებოდა აფთიაქიდან... „დეიდა

ალბერტა, დეიდა ალბერტა, როგორ მებრალები, ამ სახელისთვის...

მერე სინათლის სვეტი გამოჩნდა... ჯერ სუსტი სხივი, მერე - სვეტი... გარკვევით ისმოდა, როგორ ძოვდა რაღაც მის ყურთან... „თითქოს ცხენი ბალახობს, მაგრამ, მგონია, რომ მომეჩვენა... შეიძლება უკვე ცოცხალიც აღარ ვარ... ისიც შესაძლებელია, რომ ეს ბოლო ცხოვრება იყო, მაგრამ, მაინც საშინლად მაინტერესებს, ეს რა ხმაა”... მერე ყველაფერი ზედმეტად უცებ შეწყდა... თივის ლაბირინთის ნარჩენები... სველი და მიმოწეწილი... ისეთი, ნევროზს რომ დაგმართებს... თივის გოგონა, მთლიანად შიშველი... იღიმის... პუმ არ იცის, რა უნდა... დეიდა ალბერტას განცვიფრებული და დეიდურად სასოწარკვეთილი სახე, ხელში წამლის შუშა, ისტერიულად მიკრული გულზე... აივანზე მისტერ და მისის ფოქეთები, მაგრამ, კარგად არ ჩანან, მხედველობის არეალიდან თითქმის გაწეულები არიან და ისე ჩანან, სილუეტებად, თვალის კუთხით რომ დააფიქსირებ... ერთი ყვირის (მამრი) მეორე წკმუტუნებს (მდედრი) პერიოდულად, ამ ხმების გამოცემისას, ფუნქციებს რომ ცვლიდნენ ერთმანეთში უფრო ეფექტური იქნებოდა... ერთი ყვირის (მდედრი) მეორე წკმუტუნებს (მამრი) თივის გოგონა საოცრად უშფოთველად დგას, თითქოს ეს ქარიშხალი არც ყოფილა და არც თივის ქვეშ დამარხულებს... მაგრამ, ყველაზე საინტერესო ახლა ის ხმაა... და პუ ხედავს, რომ ღობესთან ცხენი დგას... ცხენია... მაგრამ, რა სჭირს? თითქმის მთელი თივა უჭამია... „ამიტომ გაჩნდა თივის სამარხში სინათლის სვეტი... ჯერ პატარა, სუსტი სხივი და მერე სვეტი... პუ ცდილობს, ჩამოყალიბდეს... ტრუსისამარა დგას და ბარძაყიდან სისხლი სდის... არა, არ შეხმობია, ეტყობა, რომ ღია ჭრილობაა... თივის

გოგონას მისტერ და მისის ფოქეთები უახლოვდებიან... ახლაც სილუეტებად სჩანან, ორი მეტრის რადიუსზე... „ალბათ საპასპორტო ფოტოებშიც სილუეტურები არიან... არა, შეიძლება, ერთმანეთისთვის ნაკვთებიც აქვთ, ასეა თუ ისე, ისინი მაინც „ისინი“ არიან”... ფოქეთების სილუეტური წყვილი თავის თივის პირმშოს, სავარაუდოდ მისტერ ფოქეთის პიჯაკში ახვევს და მდუმარე პროცესიით მიემართებიან სახლის კიბეებზე... ისინი აღარ გამოსცემენ რაღაც ხმებს და მერე საერთოდ აღარ სჩანან... მერე საერთო დუმილი მეფდება და საერთოდაც ჩადის მზე... პუ სახურავზე არბის, რომ ვარსკვლავებს მიუსწროს, სანამ ეს უკანასკნელნი, ჩვეულებისამებრ ჩათვლემენ...

ვარსკვლავები ადგილზე არიან... რა თქმა უნდა, უკვე თვლემენ... სახურავიდან ეს ყველაფერი კიდევ უფრო სხვანაირად ჩანს... პუს უნდა, რომ მთელი ეს ემოცია თავის მეგობარ კენტავრს გაუზიაროს... სამზარეულოში ალბათ დეიდა ალბერტა საძილე ნაყენს სვამს... ბიძია ალბერტმაც ალბათ უკვე მოასწრო, ეთქვა თუ როგორი კმაყოფილია იმით, რომ ბავშვები არ იყოლია... დეიდა ალბერტას და ბიძია ალბერტს რომ ბავშვები ჰყოლოდათ, ალბათ ალბარტე და ალბერტუ ერქმეოდათ და დედ-მამის გულის გასახარად, ქალ-ვაჟი იქნებოდნენ... პუს უცებ კიდევ უფრო მობეზრდა ეს ყველაფერი... კენტავრზე განაწყენდა... ამდენი ხნის უნახავ მეგობარზე, რომელიც არ მოვიდა... და უცებ მიხვდა... სახურავიდან სწრაფად ჩაცოცდა და ცხენს მიუახლოვდა... ცხენს, რომელმაც მთელი თივა შეჭამა... ცხენს, რომელიც მოწყენილი იდგა ღობესთან... „მოასწარი?... ვარსკვლავის ჩამოვარდნისას სამჯერ თქვი შენი სახელი და მთლიანად ცხენობა აირჩიე, იმიტომ, რომ ჩემთვის გეშველა და მთელი თივა შეჭამე”... ჰო, ზუსტად ისეთი კუდი ჰქონდა

და ფეხები... ეს ის იყო, - მისი მეგობარი კენტავრი, ოღონდ, წელს ზემოთაც ცხენი... ის ახლა სევდიანი თვალებით უყურებდა მეგობარს და პუ მიხვდა, რომ შიგნიდან დაიღალა... ეს იყო დაღლა წამში... და პუ ფსიქოლოგიურმა და ორგანულმა იმუნიტეტმა ერთდროულად აიძულეს, რომ სახლში შესულიყო და სასწრაფოდ დაეძინა...

დილით ბიძია ალბერტმა და დეიდა ალბერტამ პირები დააფჩინეს და რაღაცეები ილაპარაკეს... ძირითადად, მათი მხრიდან ეს იყო მორალის კითხვის პომპეზური პროცესი და პუ მიხვდა, რომ, ცოტაც და თმის ძირები დაუჭკნებოდა... მერე ეზოში გავიდა და ცხენს ვარცხნიდა... „აქედან უნდა გავიქცე, გესმის?... ვიცი, რომ გესმის... მაგრამ, ერთი პრობლემაა, - აქედან ანუ საიდან? აი ესაა მთელი საქმე... საიდანმე რომ გაიქცე, ჯერ უნდა იყო იქ... მე კიდევ, არსად არ ვარ... შენ ალბათ ფიქრობ, რომ იდიოტი გადაარჩინე და ამას შესწირე შენი მეტყველების უნარი... შეიძლება, ერთის მხრივ მართალი ხარ... შეიძლება, მე მართლაც იდიოტი ვარ, მაგრამ, დამიჯერე, ადამიანობაში ბევრი არაფერია საინტერესო...არადა, მგზავრობაც პოზაა... ფიქრობ, რომ საშუალებაა, მაგრამ, შენივე ბეჭებს ვერ გასცდები... ყველგან საკუთარი ზურგი გექნება სახეზე აფარებული, შენ კი ამ დროს ლასლასებ და ცდილობ, არ შეიმჩნიო , რომ ტერფებიდან სასოწარკვეთა გდის, ნახეთქებიდან იღვრება... მიწაზე ცხოვრებაც საშინელებაა... საშინელებათა ჟანრის ფილმები ძირითადად კომედიებად უფრო ამართლებენ, შუბლებზე და ხელის მტევნებზე მითხაპნილი, წყალში გახსნილი საღებავებით... დილა დაფხვნილ ცარცს ჰგავს... ჭიქით მოწოდებულს... ვერაფრით რომ ვერ დაგიამებს დამსკდარ ტუჩებს...

შენ კი, შოკს რომ დახატავ, მონასმზე არ ფიქრობ... დგახარ ასე შეღებილი და ტუჩის კუთხეები გტკივა... ეს იმას გავს, ბალიშს რომ ჩაგარტყამენ თავში და ბუმბულები რომ გაიფანტება ჰაერში... ტელეფონების ნომრები გზიზღდება... ზიზღი გამცირებს, ლოყაზე გითათუნებს ცივ ხელის ზურგს... პატარავდები, პატარავდები და უკვე აღარ იცი, რომელ ხვრელში შემვრე, სად შეიყუჟო...”

პუსი კარგად ესმოდა მის მეგობარ ცხენს... ექს-კენტავრს... თავი ჩაეღო და ძოვდა... იმ ბალახს ძოვდა, პუ რომ აბოლებდა გრძელ და მოსაწყენ ღამეებში... პუმ იგრძნო, რომ პიროვნული თვისებები გასცვივდა, გაძარცვულ ხეს დაემგვანა.. და ასე იდგა... მერე ის ცხენი წავიდა... ისე წავიდა, აღარ მოუხედავს... პუმ იცოდა, რომ ის მხოლოდ კენტავრად დაბრუნდებოდა, ვარსკვლავების სათვლელად... „კიდევ მოასწრებს, ვარსკვლავის მოწყვეტისას თავისი სახელის სამჯერ თქმას თუ არა, გულში გამეორებას მაინც და მოვა”...

მერე დიდხანს იჯდა... იჯდა და ცარიელ თავს შიგნიდან ათვალიერებდა... ფოქეთები ჩალაგდნენ და წავიდნენ... მანამდე, თივის გოგონა გამოსამშვიდობებლად ეწვია...

- ფიქრობ, სისულელე გავაკეთეთ? - ჰკითხა მან...

- არა, არ ვფიქრობ... ფიქრი მეზარება...

- ლაბირინთში ჩემს გამო შემოხვედი... იქ მე შეგიტყუე?...

- ეგრე ფიქრობ?

- უკეთ გახდები, თავი რომ დამნაშავედ ვიგრძნო?

- დანაშაული მხოლოდ სიტყვაა... ცხვირის გამოჩიჩქვნასავით არის...

- ჩვენი სიშიშვლე...

- ახლა გვაცვია...

- მაპატიე, ვარსკვლავები რომ გაგილანძღე... ეს ალბათ... რატომ შემოხვედი ჩემს ლაბირინთში?... მე... მე... ის იმიტომ ავაშენე, რომ თვითონ დავკარგულიყავი... არც მიფიქრია, რომ...

პუს უნდოდა, რომ ფოქეთების ნაშიერი მალე წასულიყო... მისთვის ის რაღაც გაუგებარ დანაშაულებზე საუბრობდა, თავს იმართლებდა... არადა, ის უბრალოდ „იმათიანი“ იყო, ყველაფერს რომ სახელებს არქმევენ და მერე კმაყოფილები ინელებენ თავიანთ უინტერესობას... მერე პუმ რაღაც სიტყვები უთხრა... აი ის, ბოლო სიტყვები, ვერტიკალურ მდგომარეუბაში... თვითონ თავისი ხმა აღარ ესმოდა... ტუჩების მოძრაობას გრძნობდა და ტალღებს ყელში... იცოდა, რომ ბგერებს გამოსცემდა, მაგრამ, არ სჯეროდა, რომ ამას ის გაიგებდა... კი... ლამაზი იყო... რა საკვირველია... პერსონაჟული... თითქოს, ოდნავ დაბნეულიც... ვინსენტის ნახატის ფერი... ეპრანჭებოდა... გრძნობებს აღძრავდა... ნუ, ერექციას იწვევდა, ბოლოს და ბოლოს, მაგრამ, არ შეეძლო... არ ესმოდა და ვერ ხედავდა პუს... ეს საშინელება იყო, რომელზეც, თუ მოახერხებდი, უნდა გაგეცინა... და პუ საწოლში ჩაწვა, თავისი ჭერის აქლემის ქვეშ, ადრე რომ მამალი იყო... მიმავალი ცხენის სევდით ტვინაწრიალებული, ადრე რომ კენტავრი იყო... საკუთარ თავს არიდებული, ადრე თვითონაც რომ არ ახსოვს, ვინ იყო...

გული ამოიღო და თუნუქის ქილაში ჩადო... ამის მერე თუნუქის ქილაში ცემდა პუს გული... მათ კი ეგონათ, რომ პუ უგულო არსება იყო... რომ პუმ არსებობა შეწყვიტა... სინამდვილეში, არავის არ აინტერესებდა, ვერავინ ამჩნევდა და ისიც მხოლოდ ყურმოკრულ ამბად რჩებოდა... მითად... რელიქვიად... ანტიკვარული ყაისნაღების სექციად... უინტერესო

სექციად, რომელზეც, მაინც უნდა ილაპარაკო, არ იცი რატომ, მაგრამ, მაინც...

ის ზის...

ის დგას...

ის წევს...

ის წევს?

ჩაწვა...

ის ჩაწვა...

და რატომ?

და რატომ და რატომ და რატომ?

რომ იდგა, კიდე ხო...

რომ დადიოდა... ახამხამებდა... იცვლიდა... კიდე ხო... კიდე ხო... კიდე ხო და ახლა ჩაწვა... ჩავარდა-ჩა-ბარდა-გადაგვარდა-გადავარდა-შედგა... მეტი დრო დაუთმო ჰორიზონტალს... ფეხის თითების ცქერას... ადრე ყველაფერი ჩანდა ზემოდან... მერე ქვემოდან და სახურავი ზევით დარჩა... ეს ცოტა ადრე და სულ ადრე რა ხდებოდა, არ ახსოვს... არც უფიქრია, უნ-და თუ არა, ახსოვდეს... არ დარჩა მასში ეს ამბები და არც ის დარჩენილა ამ ამბებში... ყბადაღებული დღე-ების ციკლში, როგორც მინის ბოთლების მწკრივ-ში... ერთი მწიკვი გამართლება არ ამოუვიდოდა ჯიბიდან, რომელიც, შიგნიდან ჩააკერეს... ნაჩხვლე-ტებს გრძნობდა და კბილებს მაგრად უჭერდა საბნის პირს... და იწვა...

დამბლადაცემული ღამეები დაჭიმულ ზამბა-რებს წააგავდნენ... საწოლში პუ წიგნის სანიშნესავით გრძნობდა თავს... „ზეწრის ნაოჭებში მწვანე კაცუნე-ბი რომ ცხოვრობდნენ, ვეტყოდი, - გამარჯობა მწვანე კაცუნებო.” იფიქრა ერთხელ მან... მეხსიერება რომ ჰქონოდა, ის ცხოვრებისეული ნაკუწები, თუ მუწუ-კები, კედლებზე გამოკრულ, გაზეთიდან ამონარიდ ფოტოებს რომ გვანან, კუბოკრული მთლიანობით,

მაგრამ, მაინც, მონდომებით რომ წევენ ერთმანეთს, არარსებული ხელებით... პუ იტყოდა, რომ ადრე იცნობდა ერთ ბიჭს, რომელიც... ან გოგოს, რომელმაც... ან ყავდა ძაღლი, ვის გამოც... საყვარელი ხე, რომლის ქვეშაც გრძნობდა რაღაცეებს, როგორც... და ასე შემდეგ...

ხოჭო შემოხოხდა... ემორი იყო... ჰელია რომ წაიყვანა... ისინი ალბათ ბედნიერები იყვნენ, მაგრამ, დეიდა ალბერტას მატარებლის სიგნალივით გაბმული კივილის შემდეგ, ემორმა საბოლოოდ ბიძია ალბერტის ჩუსტის ძირზე დაასრულა სიცოცხლე... ამ ფაქტის შემდეგ პუს უცებ გაახსენდა... წინა ცხოვრებიდან... ჯიბეებში კენჭები ეწყო-ხოლმე და ასე დადიოდა... ის ვერ გაიხსენა, რატომ, ან რას აკეთბდა მერე ამ კენჭებით, მარტო ეს ამოტივტივდა მის მეხსიერებაში, როგორც პატარა ბურთულა, პლასტმასის პისტალეტში ჩასატენად რომაა ჩამოსხმული... არადა, შეიძლება უბრალოდ დადიოდა ასე, ჯიბეებში კენჭებჩაწყობილი, ის ხომ მაინც არ საჭიროებდა თავის თავში გამართლებებს... პუმ ისეთი სახე მიიღო, კროსვორდის ამოხსნისას რომ აქვთ-ხოლმე „ბიძია ალბერტებს”... უცებ ბევრი ბიძია ალბერტი წარმოიდგინა... “KoRn”-ის ალბომის, „Untouchables”-ის ყდაზე დახატული ომის ბავშვების სიუჟეტში... ბიძია ალბერტები ისე იდგნენ, ისეთივე ფერში, მეტიც, ამ ბავშვების ტანები ჰქონდათ და თავებად ბიძია ალბერტები... მერე მათი რაოდენობა შეამცირა... სათითაოდ გამორიცხა თითო-თითო ალბერტი და ბოლოს ორი დატოვა... ერთი, რომელიც სულ წინ იდგა და ცხვირიდან სისხლი სდიოდა და ერთიც მოშორებით, ქუდიანი ბავშვის ადგილას... საბოლოოდ, ალბერტისეულ პიროვნების გაორებას დაემსგავსა ეს ყველაფერი... გასრესილი ემორი და ჰელია, საყვარე-

ლი მეუღლის მოლოდინში... ჰელია დედა კენტავ-
რის გამომცხვარ ნამცხვარში და ჰელია კენტავრის
მკლავებში, როდესაც ხელოვნური სუნთქვით ასუ-
ლიერებდნენ...

პუს ჩაეძინა და დაესიზმრა, რომ უზარმაზარ კე-
დელზე გარბოდა... ბევრი ფეხი ჰქონდა და გამალე-
ბით მიიწევდა წინ, კედელს კი ბოლო არ უჩანდა...
უკან ბიძია ალბერტი მოსდევდა, ჩუსტით ხელში...
დეიდა ალბერტა უშველებელ ნამცხვარს აცხობდა...
იდაყვებამდე ცომში იყო ჩაყუდებული... ცომში, რო-
მელშიც მომაკვდავ ჰელიებს, მწვანე კაცუნებს და
თივის ღერებს აზელდა... მერე ვარსკვლავის ფორ-
მის ნაჭრებად დაჭრა და მორბენალ, მრავალფეხა
პუს დაუშინა... იმხელა ნამცეცები ჰქონდა, ხოჭოთა
მთელი არმია ძვრას ვერ უზამდა... მერე კენტავრი
შემოვარდა და ბიძია ალბერტი შეჭამა... მერე მეორე
ალბერტი... მესამე... ალბერტები არ ილეოდნენ, ყო-
ველ მათგანს ჩუსტი ეჭირა ხელში... დეიდა ალბერ-
ტამ ჟოლოს ლიმონათი მიაწოდა... პუ კი გარბოდა და
გზადაგზა ფეხებს ტოვებდა... კედელი პუს ფეხებით
გადაივსო... მერე დეიდა ალბერტამ ეს კედელი გა-
ზეთივით დაკეცა და მასში ნამცხვარი გაახვია... პუც
შიგნით აღმოჩნდა, ქიშმიშივით... კენტავრმა ბოლო
ბიძია ალბერტი შეჭამა და წელსქვემოთ გაალბერ-
ტდა... მისი შარვალი ეცვა, ყავისფერი, უხეში მატე-
რიისგან შეკერილი... ცალ მხარზე მამალი ეჯდა,
მეორეზე - აქლემი... მერე დეიდა ალბერტა მერილ
სტრიპად გადაიქცა და კენტავრთან ერთად სახლი-
დან გაიქცა... პუ კი ნამცხვარში იჯდა, როგორც ქიშ-
მიში, როგორც ჭიანჭველა, როგორც ჰელია, როგორც
მწვანე კაცუნა, როგორც ბრიყვი...

დილით იმხელა იყვირა, საკუთარი ხმის შეე-

შინდა... აქლემი ადგილზე დახვდა, საშინლად დეფორმირებული... თავთით გაზეთგადაფარებული ნამცხვარი და ჟოლოს ლიმონათი...მერე გაიგონა, როგორ თქვა ბიძია ალბერტმა მასზე, რომ საშინელი ბავშვია... რა საკვირველია... ალბათ მართლა საშინელია... „გამოუსწორებელი ბავშვი”... დეიდა ალბერტა ქმარს ეკამათებოდა, ცდილობდა, როგორმე დაეცვა დისშვილი, ანუ „ეს ტილიანი ბავშვი”, როგორც მერე ბიძია ალბერტმა მოიხსენია... მერე თეფში გატყდა... ორიათასი თეფში ერთად რომ გამტყდარიყო, ასეთ ხმას მაინც ვერ გამოსცემდა... პუმ თავზე საბანი წაიფარა... „გამარჯობა, მწვანე კაცუნებო”... ეს ფრაზა მასში ადამიანურმა იმუნიტეტმა ამოჩიჩქნა, როგორც ვითომ კომფორტი... „ფიქრობ, მგზავრობა საშუალებაა? საკუთარ ბეჭებს ვერ გასცდები” - ჩაჰყვიროდნენ მწვანე კაცუნები საბნისქვეშა სამყაროდან... პუს სახე გაეწელა... ახლა სამი-ოთხი სანტიმეტრით უფრო გრძელი სახე ჰქონდა... თითქოს ფორები გაეხსნა კანზე, სახეზე ხელები დაიფარა და თითებით შუბლს ძლიერად დააწვა... მერე კარი გაჭრიალდა... „საყვარელო, გაიღვიძე?... რა მოხდა, ყვიროდი?”... დეიდა ალბერტა საცოდავად იდგა, უღიმღამო ხალათში... პუს ახლა მართლა ძალიან შეეცოდა, ამ სიტუაციაში... და იმის გამოც, რომ ალბერტა ერქვა. თითქოს ეს ქმრის დამღა იყო... უცებ იფიქრა, რომ მის დეიდას ადრე სხვა სახელი ერქვა, მარგარიტა ან ანა და ალბერტად მას შემდეგ იქცა, როცა ბიძია ალბერტს გაჰყვა ცოლად... შეიძლება, გარეგნობაც სხვანაირი ჰქონდა... სხვა თმა, სხვა ხმა, სხვა ხელები... და ისე გამოიყურებოდა, როგორც გამოიყურებიან ადამიანები, რომლებიც ბიძია ალბერტთან არ იმყოფებიან კანონიერ ქორწინებაში... „საწოლს არ მიეკარო” - უთხრა პუმ, ისე, რომ თავიდან საბანი

არ გადაუხდია... მერე დუმილი, გული რომ გესმის ყურებში... მერე ისევ გაჭრიალდა კარები და ისევ დუმილი... „ტილიანი ბავშვი”... „გამოუსწორებელი ბავშვი”... „საზიზღარი ბავშვი”... იმეორებდა პუ... ეს სახელებია... იარლიყები... შესატყვისები... „რა საცოდაობაა?... საცოდაობა... საცოდაობა”... თითქოს ქვაზე იჯდა და ძილს მათხოვრობდა... მთელი დღე და ღამე ასეთ პოზაში გაატარა... რამოდენიმეჯერ სუსტად მოენატრა ღამით, სახურავზე გაბოლებული ეზოს ბალახი...

ბიძია ალბერტი მძიმედ დაეშვა სკამზე... ხვნეშოდა... ეტყობოდა, რომ კიბეებმა დაღალა... ბევრი ილაპარაკა, განსაკუთრებით, ბიძია ალბერტის კვალობაზე... „ნამდვილი მამაკაცი... ნამდვილმა მამაკაცმა... ნამდვილ მამაკაცს... ნამდვილი მამაკაცის... ნამდვილი მამაკაცით... ნამდვილ მამაკაცად... ნამდვილო მამაკაცო!”... ბიძია ალბერტი ჩამსხვრეულ მინას ჰგავდა... ათიათასი ნამსხვრევი ერთდროულად აცმაცუნებდა პირს... პუ ცდილობდა, რომ რაიმე აზრი გამოეტანა, მაგრამ, მხოლოდ ეს სიტყვები ესმოდა... მერე სიჩუმე მოაგროვა, უზარმაზარ ენერგეტიკად გარდაქმნა და... ყელში მოაწვა, როგორც ბეისბოლის ბურთი... უნდოდა ეყვირა... მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოსაცემი ხმა ერთ ნოტად გამოეცა... მაგრამ, ეს ბეისბოლის ბურთი... ბიძია ალბერტი ისევ ნამდვილი მამაკაცის ჭეშმარიტ ღირსებებსა და დანიშნულებებზე საუბრობდა... პუმ მოგროვებული შინაგანი, ხრიოკი სიჩუმე თუნუქის ნამტვრევებივით გადაყლაპა და მოულოდნელად იკითხა - „ბიძია ალბერტ, ბეისბოლი გიყვართ?”... პუმ იცოდა, რომ ბიძია ალბერტი ახალგაზრდობაში, თავისი ქალაქის ნაკრებში თამაშობდა ბეისბოლს... პუმ ეს იმ სურა-

თიდან შეიტყო, შემთხვევით რომ აღმოაჩინა მის უჯრაში, როცა სამართებელს ეძებდა, რომ „გაეპარსა“... დიდი ფოტო იყო, უამრავი ულვაშიანი და ბეისბოლის კეპიანი ბიძით... წინ რაღაც თასიც ედოთ... ამის შესახებ ბიძია ალბერტს არასოდეს მოუყოლია მისთვის და პუსაც არაფერი უკითხავს, მხოლოდ ახლა, უცებ ამოტივტივდა ეს ფაქტი მის გონებაში, მაშველი რგოლივით. ახლა, როცა ნებისმიერი თემა გამართლებული იყო, საუბრის გადასატანად, ლოსების შეჯვარებაც კი... ბიძია ალბერტი უცებ გაჩუმდა... აღარაფერი უთქვამს, ერთხანს ასე იჯდა სკამზე და ამხელა ენერგიული მონოლოგის შემდეგ, დაპაუზებულს გავდა. მერე ადგა და გავიდა და საერთოდაც დაანება პუს თავისი ციხე სიმაგრე... „გააბოლებდა კაცი”... გაიფიქრა პუმ, მერე ბალიშში სახით ჩაეფლო და ფიქრი შეწყვიტა...თავთით, პატარა ტუმბოზე, პატარა, ქოხის ფორმის საათი წიკწიკებდა... „რა მონდომებით ითვლის დროს.” - ჩაილაპარაკა პუმ თავისთვის. „ჰო, უბრალოდ, ეგაა, რომ, ეს ჩვენ არაფერში გვჭირდება.”-მოესმა ნაცნობი ხმა... პუ იდაყვებზე წამოიმართა...

- კომოდის უკან ვინმეა?
- ჰო...- უპასუხა ისევ ნაცნობმა ხმამ...
- გამოდი, ოღონდ, არ დამცინო...

დეიდა ალბერტა სავარძელში იჯდა და უკვირდა, თუ რატომ გამოდიოდა ამ უცნაური ბავშვის საძინებლიდან სიცილი და თან, ორ ხმაში...

ეჰ, დეიდა ალბერტა...

2011

ნონასწორობა

ოთახი ოთხკუთხედი ბუშტია... ჰაერით გაბერილი... ვდავარ მის ცენტრში, ცალ ფეხზე... მხოლოდ ნიფხავი მაცვია და მეტი რომ ვეღარ შეილახება, ისეთი ღამის მაისური... „რას აკეთებ?" - მეკითხება ის... ოთახში შემოდის. კარს ხმაურით კეტავს. „ვცდილობ, წონასწორობა შევინარჩუნო" - ვპასუხობ. მან არ იცის, ასეთ დროს რა უნდა მითხრას, პარკებს პირდაპირ იატაკზე ყრისდა მეორე ოთახში გადის ... იქაც რომ მე ვმდგარიყავი,მის ადგილას, თანაც ორივე ფეხზე, ვიკითხავდი - „რა ჯანდაბად გინდა წონასწორობა?" ჰო, სწორედ ასე... ან „ ჯანდაბას" მოვაშორებდი, ძალიან შემტევია. მერე რა, რომ მასთან ერთად უფრო პირდაპირია და ყოველგვარი შეკავების გარეშე... შეკავება ზოგადად არც თუ სასიამოვნო პროცესია. დგახარ და იკავებ, თითქოს გრძელ რიგში ხარ და შენს უკან მდგარი ორი კაცი, როდესაც წინ თერთმეტია, გაფიქრებინებს, რომ ყველაზე ცუდ დღეში არ ხარ და უარეს ადგილზეც შეიძლებოდა მდგარიყავი.

ის შემოდის. ხედავს, რომ არაფერი შეცვლილა და ისევ თავის პარკებს უბრუნდება. ამჯერად იატაკიდან იღებს და საძინებელში გააქვს... რაღაცეები უყიდია. ახლა მისთვის ყველაზე კარგი იქნება, რომ გავიდე და ვკითხო ამ საყიდლების შესახებ. მოკლედ, რომ დავინტერესდე. მაგრამ, მე მირჩევნია, წონასწორობას ვინარჩუნებდე ოთახის ცენტრში.

მერეც, სადილზე, დანითა და ჩანგლით, ვფიქ-

რობდი, რომ, მისთვის რაიმე სასიამოვნოს თქმა არ იქნებოდა ურიგო. ჩანგალი ავიღე და მის კბილებს შორის ნათურას დავუწყე ცქერა. ყვითელი სხივები უცებ შემოვარდებოდნენ ღარებში და მერე ისევ უკან იხევდნენ...

სინამდვილეში მე დავიკარგე. აი რა... მისამართები მახსოვს, არ დამვიწყებია, მერე რა, რომ წვერს არ ვიპარსავ... მისამართები კიარა, მისამართი... ამასაც თავის წონასწორობა აქვს... დილით სარკეში ჩავიხედე. ისეთი არაფერი.

დგება და ნაჭამ თეფშებს ნიჟარაში აწყობს... ახლა რეზინის ხელთათმანებს გაიკეთებს და დღის მნიშვნელოვან თემებს დაუწყებს შეჯამებას. მე ისევ მომიწევს ერთ საშუალო დამაჯერებლობის მქონე პასუხად მოგროვება...

ვინ არის ეს ქალი? უკვე წლებია, ჩემზე დააბიჯებს. იღებება და ისედაც გრძელი მტევანი სულ უფრო უგრძელდება, როცა კარის სახელურს ატრიალებს... საოცრად ლამაზი მაჯები აქვს...

„ახალი ტელევიზორი უყიდიათ". კარის მეზობლებს გულისხმობს. ისინი კედლის უკან ცხოვრობენ და ხანდახან მგონია, რომ საერთო კედელი არ გვაქვს, უბრალოდ, ჩემი და მათი კედლები ერთმანეთს ზურგებით ეკვრიან... „წელს ზღვაზე მიჰყავთ ბავშვები"... აი, დღის მნიშვნელოვანი თემებიც შეჯამდა. ისეთი არაფერი, შემიძლია რამოდენიმე სიტყვა ვთქვა... ცხვირით ვიწყებ სტვენას.

სექსს როგორც კი ვამთავრებთ, საშინლად ვუცხოვდებით... „არაფერს მეტყვი?" სახე ბალიშში აქვს ჩარგული... „ისევ დარეკეს გამომცემლობიდან." ვპასუხობ... ვუკიდებ და მახსენდება, რომ საფერფლე ფანჯრის რაფაზე დამრჩა. ახლა ავდგებით... ისედაც 17 წუთი გადაგვიცდა. დრო ყველაზე გაწონასწორე-

ბული ნაბიჭვარია, უფრო სწორად, თავის მკაცრ წესებს იცავს. საცოდავია არადა, გამუდმებით წრეზე... ოდესმე მოვიკრებ ძალას და გამოვუტყდები, რომ ვერ ვცნობ. ბოლოს და ბოლოს, ვკითხავ, ვინაა? ერთხელ შემეკვრება სუნთქვა, მეტჯერ ხომ არა? სინამდვილეში მაინც არაფერი არსებობს. მეც არ დამჭირდება არგუმენტირება, თუ რა დროს დამავიწყდა იგი ან რა დროს გაწყდა კავშირი... არადა, როცა ისიც კი არ იცი, ეს კავშირი ოდესმე იყო კი საერთოდ?

აბაზანაში საპონს ვუსუნე. ნაცნობი სუნი იყო. ნაცნობი კი არა, უფრო სწორად, ვიფიქრე, რომ ასეთი სუნები ადრე მიყვარდა. ან მსიამოვნებდა. მოკლედ, დიდად ვერაფერი ვიგრძენი, გარდა იმისა, რომ, სიამოვნების გრძნობის ჩემში არსებობის შემთხვევაში ეს სუნი მესიამოვნებოდა...

მერე, მეორე თუ მესამე საღამოს, უზარმაზარი თევზით და ორცხობილათი რომ დავნაყრდით, ვიღაცეები მოვიდნენ. მომიწია თამაშმა, რომ ამ ქალს ვიცნობ. მეტიც, წელზეც კი მოვხვიე ხელი, როცა ვაცილებდით. იმ ვიღაცეებმაც თქვეს, რომ გამომცემლობა ნერვიულობს, არადა, ვიღაცეები იყვნენ აშკარად.

- იცი რა განსხვავებაა საშობაო ირემს და უბრალოდ ირემს შორის?-მეკითხება ერთი.

- არ ვიცი - ვპასუხობ. თუმცა, არც დამიწყია პასუხზე ფიქრი...

- საშობაო ირემი მხოლოდ იაფფასიან სვიტერებზე და ღია მისალოც ბარათებზე არსებობს, ისიც სეზონურად... - ლიმონათი დაისხა და ისე სწრაფად დალია, თითქოს ვინმე აპირებდა ჭიქის წართმევას...

„ალბათ ძალიან დიდი ხანია, ვიცნობ". ვფიქრობ. არც კი ვიცი, რატომ გადავხედე პასუხისთვის ამ

უცხო ქალს. ეს მაინც ვიცოდე ვინ არის...

მერე მეზობლის ბავშვი შემოვიდა და შვიდჯერ მომიყვა ლექსი, რომელიც ბაღში ასწავლეს რაღაც დღესთან დაკავშირებით.

მერე ვიდექი ფანჯარასთან... ეს ფანჯარასთან დგომა კიდევ... ცოტა სიღრმეში ხარ შეწეული. ასე ვთქვათ, ოთახს ინარჩუნებ. „დაჩლუნგებული ხარ!“ მინდა რომ მითხრას. მინდა რომ ჩამყვიროს- „შენ დაჩლუნგდი!” ეს ამ დროს ისე დადის ოთახებში, თითქოს, ეს-ესაა გამოიძრო ყურიდან საწვიმარი განწყობილება.

- ეგ რა არის?
- რეზინის ბურთია და გორავს...
- რატომ გორავს?
- რეზინის ბურთია და იმიტომ...

უცებ რომ მკითხოს „რა გინდა?” ნაცვლად ამისა, მეუბნება, რომ ყავას დამისხამს. დილები და საღამოები ერთმანეთში ისეთი სისწრაფით შედიან და გამოდიან... ხანდახან ანელებენ კადრს და რაღაცეებს დაბერილი ნესტოებით აფიქსირებ.

„სახურავზე ძაღლმა მოისაქმა.”

ეს შეჯამებისთვის არც ისეთი სასარგებლოა... თითებით მაგიდაზე არითმიულად ვაკაკუნებ... ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს, უნიჭო ტილოს რეპროდუქციის წინ ვდგავარ, რომელსაც საშინლად აქვს ფერები გაუხარისხოებული მილიონი კოპირებისგან და განსაკუთრებით, მწვანე.

თითქოს გრძელი ძაფი გიჭირავს ხელში, ბოლო საჩვენებელ თითზე რამდენჯერმე გაქვს გადახვეული და მიყვები... ისევ გადიხარ ოთახში, რომელიც ოთხმაგად გიცავს. ან უბრალოდ, შეგრძნება გაქვს

ასეთი... „რატომ არ იცვამ შარვალს?” ისევ მაგიდასთან ზის. ჯერაც ყავის ლამბაქიდან ადენილ მკაფიო წნულში უხერხულად იშმუშნება, თითქოს გამოფხიზლებას კი არ აპირებს, ემზადება, რომ წყლები დაღვაროს... ადგილიდან მეუბნება ამ ფრაზას, რომლის ბოლოშიც საშინლად გაუმართლებელია კითხვის ნიშანი, იმიტომ, რომ, პასუხი იცის. ჩემგან განსხვავებით იცის ეს ოხერი პასუხი, კი არა და, პასუხები... მე კი მეჩვენება, რომ მომსდევს და კეფასთან საოცრად ახლოს, ისე, რომ ორივე ყურს თანაბრად მოედოს, ჩამყვირის „რატომ არ იცვამ შარვალს?”

არის ადგილები ჩემს ცხოვრებაში, სადაც ვერ ვხედავ. პატარა კუბებს გავს. გაუმჭირვალე შუშის სათბურებს. მწვანე ძაფით გამოკერებულ ინკუბატორებს, თვალების უკან... შეგიძლია, მოგონებაც დაარქვა. დილით გამოცვლილი საცვალი... გამხმარი ბალახისგან გაღიზიანებული კანი... ათასი რაღაც შეგიძლია გაგახსენდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა არაფერი გახსოვს. ათასიო ვამბობ, თორემ მილიონობითაა . ამ კუბებში მათ ოდნავ სხვა ელფერი აქვთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა კედლებს უმწეო და გამოკეტილი მხეცივით აწყდები, გარედან კი გამალებით გიკაკუნებენ მსუქან მუშტებს, თითქოს შემოშვებას ითხოვენ... უნიჭო მეტაფორაა, იმდენად, რამდენადაც თვითონ უმწეოა სიტყვა „უმწეო“, იმიტომ, რომ, სულაც არაა ეს მხეცი უმწეო. უბრალოდ, გამოკეტილია. ესაა და ეს... და კიდევ ის, რომ სიტყვა „გამოკეტილს“ უხდება სიტყვა „უმწეო“. მოკლედ, ამას უფრო განვავრცობდი 21 წლის ასაკში, როცა ფროიდით და არაცნობიერის მნიშვნელობით ვიქნებოდი დაკავებული...

დაკავებაა...

არადა, მთხოვა დამერეკა... ვერ ვეტყვი, რომ არ მახსოვს ვინაა. განსაკუთრებით იმას, მე რომ საკუთარ თავს ვერ ვიხსენებ... ისეთი შეგრძნებაა, პირს რომ გააღებ, გგონია წყალი გადმოგექცევა... შეიძლება, შეეგუა ჩემს სიტყვაძუნწობას. მოთხოვნები მაინც საკმარისად აქვს. ნუ, იმ დონეზე მაინც, აი, საღამოს მოსვლა თუ დააგვიანდა, რომ უნდა დაურეკო და მოიკითხო, ისეთი... თურმე ლიფტთან ვიღაც გოგო მოუკლავთ. ყელში მავთულით, თუ თითებით... ამას ისეთი ენთუზიაზმით ყვება, განსაკუთრებით იმას, ამ გოგოს სახლში ზედმეტად წითელი ვაშლებით სავსე ქაღალდის პარკები რომ მიჰქონდა, მგონია, რომ მის ადგილას უნდოდა ყოფნა... ან ერთი ათჯერ მაინც აქვს წარმოდგენილი საკუთარი ფეხები, უსიცოცხლო მდგომარეობაში მიმოყრილი სადარბაზოს ნაგვიან ფილებზე და ის თეთრი ფეხსაცმელიც ალბათ, პატარა ქუსლით, პლასტმასისაც რომ გავს... საკუთარი გვამის წარმოდგენისას, მკვლელობიდან ათი წუთის შემდეგ, შენს წარმოსახვას იმით რომ გაამძაფრებ, რომ ფეხსაცმელს შეირჩევ გონებაში, თითქოს ხო უპრეტენზიო სურვილია, რომელიც გულისამაჩუყებლობას ერთიორად ზრდის, სინამდვილეში უზარმაზარი ეგოიზმია და მეტი არაფერი, იმიტომ, რომ, მკვლელს იმის უფლებასაც არ აძლევ, მაშინ მოგკლას, როცა საჭიროდ ჩათვლის და არა მაშინ, როცა სწორედ ეს ფეხსაცმელი გეცმევა...

„რატომ არ იცვამ შარვალს?" კიდევ უფრო ხმადაბლა მეკითხება. კიდევ უფრო მშვიდად, მაგრამ, ამჯერად კიდევ უფრო მეჩვენება, რომ კიდევ უფრო ხმამაღლა ჩამკივის. თითქოს, მანჯღრევს კიდეც, იდაყვში ჩაფრენილი...

კიდევ უფრო ვსევდიანდები... იმდენად, რამდე-

ნადაც მახსოვს, როგორია სევდა და ალბათ, სწორედ ამიტომ ვიღიმი... და მაინც, სად ჯანდაბიდან მოვეხეტე? ან ნეტა საკუთარი თავი თუ მყავს გამოტირებული, იმის წარმოდგენისას, თუ როგორ მომკლეს?... ვფიქრობ, ფეხებზე მეკიდებოდა, თუ რა მეცმეოდა ფეხზე მკვლელობის ღამეს...

ღამეს?!

ალბათ საკუთარ ცხოვრებაზე მხოლოდ იმ დონეზე ვზრუნავ, რომ სუიჟეტი არ გაუფერულდეს... ეს ვგონებ, გასაღიმარია.

რეზინის ბურთი კიდევ ელოდება, როდის გავეხლები შემთხვევით, რომ სულ ცოტა ხნით მაინც მოვიდეს მოძრაობაში...

ხანდახან რაღაცეები მახსენდება წამიერად. მაგალითად: როდესაც ერთ მოსაწყენ საღამოს ტუალეტის სარკეზე მიყუდებულმა და საკუთარი კანის ფორების თვალიერებით გაბრუებულმა ასანთს გავკარი, გამახსენდა, რომ წინა ცხოვრებაში წვიმასთან ვმეგობრობდი. თითქოს, ჩემი შვილისთვის მოსაყოლი ამბავიც მქონდა გამოგონილი. აი ისეთი, მარტო ჩვენ ორს რომ უნდა გვცოდნოდა. ეს ამბავი ყოველგვარი ლიტერატურული შელამაზების გარეშე და მოკლედ რომ ვთქვათ, დაახლოებით ასე ჟღერდა: „არსებობენ ადამიანები, რომლებიც წვიმასთან მეგობრობენ და მისი ენა ესმით... და ყოველთვის, როცა წვიმს, ხალხისთვის ეს უბრალოდ წვიმაა, ისინი კი უამრავ საიდუმლოს ისმენენ ფანჯარაზე დაცემული წვეთებისგან, რომელიც სამუდამოდ მათში რჩება. ამ ადამიანებს წვიმისფერი თვალები აქვთ, რასაც მხოლოდ და მხოლოდ თვითონვე ამჩნევენ და სწორედ ამით შეუძლიათ ერთმანეთის ცნობა... თუმცა, ამასაც არ იმჩნევენ... თავიანთთვის, გულში იციან, რომ ერ-

თმანეთი იცნეს...” ამ გამოგონილი ამბის ბოლო ალბათ იქნებოდა ის, თუ როგორ ვეტყოდი შვილს საიდუმლოდ, რომ ჩვენ ორნიც წვიმის რჩეულები ვართ, მაგრამ, სამწუხარო ისაა, რომ, აღარ მახსოვს, მყავდა თუ არა შვილი, რომელსაც არსებობის შემთხვევაში ნიკოლოზი ერქმეოდა...

ჩვენი ბინა მეთორმეტე სართულზეა... აი ისეთია, ზედმეტად ნაცრისფერი და ვერტიკალური... თითქოს, წელში ძლიერად მოუჭირეს უხილავი თითები და ამანაც სუნთქვა შეიკავა... ამაზე როცა ვფიქრობ, ფანჯრები უფრო მეცოდებიან... ამ ნაგებობის ფუნქციადაკაგული უამრავი ნესტო... სამზარეულოს კედლები პატარა ნახატებითაა გაფორმებული, რომელთაც პატარა ჩარჩოები აქვთ და კიდევ ძაღლებით ილუსტრირებული კალენდარებით... აქ სულ ყავის და მწვანე ჩაის სინთეზური სურნელი დგას და ყველაზე კარგად გესმის ლიფტის ხმა...

გაჩერდა...

მეც პირდაპირ პირთან შევაჩერე სიგარეტი... ახლა გასაღების გადატრიალების ხმა იქნება...

ერთმანეთს დერეფანში შევხვდით. მე ისევ ნიფხვით და ღამის მაისურით, სიგარეტგაჩრილი... ის თავის ქაღალდის პარკებით გულზე (ჩვილივით აქვს მიხუტებული) და ისევ დაუსრულებელი სინანულის განცდით, რომ ამჯერადაც არ გაუმართლა და არავინ დახვდა...

„მე გირეკავდი”... ვეუბნები...

კატას ეძებს თვალებით, რომ ფეხით მოეფეროს... ფერნაკლულია... ისევ ის პლასტმასის თეთრი ქოში ჩაუცვამს... ასეთ დროს, როცა პასუხს თავი უნდა აარიდოს, ყოველთვის კატას ეფერება ფეხის წვერით... ეს ქოში კი როგორია იცი? ბავშვობაში დედის ფეხსაცმელს რომ იცვამენ და დაბაკუნობენ... აი ეგეთი

ფაქტურის.

„იქნებ ეგ ნიფხავიც ზედმეტია?”... მეკითხება... აი რა არის რიტორიკული კითხვა... „იქნებ ზედმეტია?” გულში გამოთქმით ვიმეორებ... არ ვიცი... რატომღაც, მგონია, რომ წინა ცხოვრებაში, როცა ვიცოდი, ვინ ვიყავი და რა მინდოდა (ან იქნებ „რა მინდოდა” ცოტა ხმამაღალი ნათქვამია?), ამ ნიფხავს ერთი სწრაფი მოძრაობით გავიძრობდი და პირდაპირ ფეხებთან დავუგდებდი... „ნეტა ვიპარსავდი თუ ვიკრეჭდი?”ფუ, შენი... რეებზე ვფიქრობ?! მოკლედ, დერეფნული შეხვედრა დასრულებულია...

რატომღაც, ის შეხვედრები უფრო ღრმა კვალს ტოვებს, რომლებიც არსადაა აღბეჭდილი. არანაირ ფირზე. მხოლოდ შუბლის ძვალზე, შიგნითა მხრიდან, პატარა ბზარს აჩენს... მესამედ მილიმეტრს... მეორე მესამედი იმ ენერგიას მიაქვს, რომელიც სიტყვებს მოგაჩხრეკინებს. აი, ზღვაში ჩაყვინთული ხელს რომ აფათურებ, ფერადი ქვებისთვის. სიტყვებსაც ეგრე ეძებ. სიტყვები მაინც გჭირდება, რაც არ უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა დიალოგში კითხვით შემოდიან... მესამე მესამედი ღიმილია. რაღაცა ძალა, რომელიც ტუჩის კუთხეებს უხილავ ნემსკავებს გამოსდებს და სიგანეზე გადაგიჭიმავს...

არ ვიცი, ეს რატომ გამახსენდა. მგონია, რომ შედარებით ახლო წარსულიდანაა. ისე, რა საინტერესოა, ეძახი წარსულს და ის ამ დროს არასდაც არ წასულა. მაშინაც კი, როცა არაფერი გახსოვს...

„თუ იცი, დაწყებულია უკვე?” ფიქრებიდან ვერკვევი. თავზე მადგას. საკმაოდ მოუხერხებლად გამოიყურება. ვასკვნი, რომ, წერს. თან ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება, როცა თეატრის ფოიეში ზიხარ და ელოდები როდის დაიწყება ლიტერატურული კონკურსი...

„არა მგონია, დაწყებული იყოს... ერთი საათია აქ ვარ.“ სასხვათაშორისოდ ვპასუხობ და სხვა მიმართულებით ვიმზირები... ის კიდევ თავზე მადგას. ასე ერთიორად მოუხერხებელი ჩანს, უფრო სწორად, იგრძნობა, იმიტომ, რომ, არ ვუყურებ...

„თუ იცი, აქ მოწევა შეიძლება?” მეკითხება ისევ... „ვფიქრობ, რომ კი, იმიტომ, რომ მაგიდებთან ეწევიან”... ამ პასუხისას კიდევ უფრო ბლაგვი ვჩანვარ...

„პრინციპში, აქ ხომ ნაგვის ურნა დგას?“ ისევ შეკითხვა... უკიდებს და ჩემს გვერდით ჯდება. თურმე მარტო დგომა არ იყო ჩვენ ორს შორის მოუხერხებლობის ერთადერთი მიზეზი... მე აღარ ვპასუხობ, იმიტომ, რომ, ამჯერად აღარ დაუწყია ფრაზით „თუ იცი?“ ვსხედვართ. ურნა მის მხარეს დგას და ის ეწევა. მოწევის მანერაც იმაზე მიუთითებს, რომ წერს... ჩანთაც კი, რომლის ძირითად ღირსებად იმას თუ ჩათვლი, რომ, შიგ თავისუფლად ჩატევ ყველა ზომის ნაწერ თუ ნაბეჭდ ფურცელს, ბლოკნოტს, წიგნსა და პერიოდიკას... ერთ გოგოს გავს ძალიან. ახლა ვერ ვიხსენებ, მაგრამ, ინტუიცია მკარნახობს, რომ ის გოგო მიყვარდა. თან იცი როგორ? სხვა სიყვარულებს შორის. შორიდან. ალბათ, მივიდოდი და ვეტყოდი „ცოლად გამომყევი.” ამის ნაცვლად კი არაყს ვსვამდით და ვდუმდით, სანამ არ გათხოვდა, უფრო ზუსტად, წაიყვანეს.

უკვე ვეღარ ვისვენებ. მინდა, რომ, რაც შეიძლება მალე დაიწყოს ეს ოხერი ცერემონია... ვდგები და ურნასთან მივდივარ. ამისთვის მასზე შემოვლა და თავზე დადგომა მიწევს. ეს კიდევ უფრო მოუხერხებელია. ამიტომ, მალიმალ ვაფერფლებ...

კიდევ შეგვიძლია რამე ვთქვათ. მას თავის ავტორები ყავს გამობმული ზურგზე თოკებით და მე ჩემი. ალბათ სწორედ ამიტომ, შექმნილ მიზანსცენას სხვა-

დასხვანაირად ვაფასებთ...

„შენ თვითონ წერ?“ მეკითხება. ცოტა დავიბენი. შემეძლო იდიოტურადაც გამეღიმა, თან მხრები ამეჩეჩა, მაგრამ ეს შიგნით მოხდა. „მე თვითონ?” ეს ყველაზე უადგილო იქნებოდა ჩემი მხრიდან, ამიტომ, ეგრეევე უარვყავი. კითხვაზე კითხვით ნაპასუხებს თავმოყვარე ადამიანები აღარ პასუხობენ და იმიტომ. „მე თვითონ.” ასე ვუპასუხე. დუმილი... ა, ჰო... „შენ?“

„მე მამიდაჩემის მაგივრად მოვიტანე. თვითონ არ დადის ასეთ რაღაცეებზე.” უცებ მის მამიდაზე ვიეჭვიანე. ასეთი საღამოების მიმართ ჩემზე უფრო სკეპტიკურად განწყობილ ადამიანად წარმოვიდგინე და ვიეჭვიანე... „თუმცა, მეც ვწერ, მაგრამ, ჩემთვის”... ეს იმიტომ დაამატა, რომ ბოლომდე იმედგცრუებული არ დავეტოვებინე იმ საშინელ ღონისძიებაზე შესვლის წინ. რაღა უნდა ვთქვა? მაინც მოუხერხებელი ვარ. „ისევ ქართულად აპირებენ დაწყებას...” მთელი საათით და მეტით დაგვიანებას ვგულისხმობ... იღიმის. მე ჩემი ავტორები მყავს გამობმული ზურგზე და ვახრიგინებ, მას მამიდამისის ავტორები ალბათ, ან თვითონ მამიდა, როგორც ავტორი... არ ვიცი, რატომ გამახსენდა ეს შეხვედრა. თითქოს რაღაც დამრჩა მისგან. არსად არ აღბეჭდილა და იმიტომ, მხოლოდ მესამედი მილიმეტრით გამიბზარა შიგნიდან შუბლი...

„გამარჯობა!“... „გამარჯობა?... ა, ჰო, გამარჯობა”... თურმე ჩემთვის არ უთქვამს... თოლიებს მივესალმეო... ალბათ ელოდა იმის შემჩნევას ჩემგან, რომ თოლიებზე მისალმება არასერიოზულია. მე კიდევ, უბრალოდ წყალში ვიყურებოდი... „რას აკეთებ?” ხიდიდან სულ სხვანაირი ჩანს წყალი. „ამას შენ გეკითხები და არა თოლიებს.” „თოლიებს?“ კითხვას

ანგარიშმიუცემლად ვუბრუნებ... აღარაფერს ამბობს. ან საერთოდ, რატომ ჩათვალა, რომ უნდა გამომლაპარაკებოდა? ვბრაზდები გულში. მერე მახსენდება, რომ ასე მე მეგონა, თორემ, სინამდვილეში ის თოლიებს ესალმებოდა... „ვცდილობ, მიღმა დავინახო." ჩემთვის ნათქვამს უფრო გავდა, თუმცა, ასე გამოვიდა, რომ, მაინც ვუპასუხე. „ბატონო?" აშკარად აღარ ელოდა, რომ რამეს ვეტყოდი. „ამას ვაკეთებ." დავამატე გულგრილად. მომაშტერდა, თითქოს ვინმეს ამოცნობა უნდოდა ჩემში. „საყვარელი ადამიანის მოკვლაზე გიფიქრია?" მეკითხება ისევ მოულოდნელად. „სიმართლე გითხრა, არ მახსოვს." ვუკიდებ. უკიდებს. რაღაც საერთო უკვე გვაქვს. წყალს ისევ დაჟინებით ჩავცქერი. ის ისე იღიმის, აშკარად ჩემში თვითმკვლელი ამოიცნო. „არადა, უბრალოდ, წარმოვიდგინე. ესაა და ეს." ვეუბნები და მოაჯირს ვშორდები. „ჩვენ ერთმანეთს ვგავართ." ისე თქვა, თითქოს მომაძახა, არადა, ჯერ ისევ იქ ვდგავარ, უბრალოდ, მოაჯირს აღარ ვეყრდნობი. „შენც ბევრჯერ წარმოგიდგენია და მეც, თუ როგორ მოვკლავთ მას, ოღონდ, ამის ძალა არცერთს არ შეგვწევს." სიგარეტს წყალში ვაგდებ. გადაგდებამდეც, გადაგდების პროცესშიც და მერეც ვიცი, რომ ეს უზნეობაა. მაინც ვაკეთებ ამას. ის ნამწვს მოაჯირზე ასრესს და ჯიბეში ინახავს, უახლოეს ურნამდე. მშურს მისი ნებისყოფის. ვფიქრობ, რომ ამიერიდან ყოველთვის ასე მოვიქცევი. ვფიქრობ, რომ ამაზე ადრეც ვფიქრობდი. შეიძლება, ასეც ვიქცეოდი. და თუ არ ვიქცეოდი, ახლა მოვიქცევი. უნდა წამოვიდე. თავში გამოსათხოვარი ფრაზების სამი ვარიანტი მაქვს. (არადა, რატომ უნდა გამოვეთხოვო ადამიანს, რომელსაც გამარჯობაც კი არ უთქვამს ჩემთვის?) 1. „წადი და მოკალი ის შენი საყვარელი ადამიანი! 2. „თოლიები ახლოდან

საკმაოდ შეუხედავები არიან.ნ 3. ჰო, მესამე აღარ მახსოვს... შეიძლება, მეტი ვარიანტი არც მქონია. უხმოდ ვბრუნდები და მოვდივარ. უთქმელობასაც აქვს თავის წონასწორობა.

საღამოს მისთვის არ დამირეკავს. წარმოვიდგინე, რომ მობილური წყალში ჩავაგდე. იატაკზე ვწევარ და ფეხები დივანზე მაქვს შეწყობილი. ის კი, თითქოს იმის ჯიბრით, რომ დღესაც არ მოკლეს, დემონსტრაციულად შემოვიდა და მომეჩვენა, რომ, რამდენჯერმე შემოვიდა. ჯერ რა თქმა უნდა, თავისი პარკები გაიტანა სამზარეულოში, მერე შემობრუნდა და რამოდენიმე წამი ზღურბლიდან უყურა ტელევიზორის აშიშინებულ ეკრანს. თავდაყირა კიდევ უფრო გამხდარი და გრძელი მეჩვენება. მოდის და თავზე მაბიჯებს. ისე, რომ კარგად შევნიშნო მისი საცვალი კაბის ქვეშიდან, უფრო სწორად, ის, რომ ის იქ არ არის... „თუ გახსოვს დღეს რა დღეა?" მომენტალურად ცივი ოფლით მისველდება შუბლი. ზურგსუკან დამალულ მარცხენა ხელში შუშხუნა ღვინო უჭირავს, მარჯვენაში ორი ცალი ფუჟერი. „რომ ავდგე და ფანჯრიდან გადავხტე?" უცებ ეს ვიფიქრე. მერე გადავიფიქრე. ის დივანზე ჯდება. ისე, რომ ჩემი ფეხები მის ფეხებს შორის მოექცეს. „რამე მითხარი?" მეკითხება გამომწვევად. „საერთოდ არაფერი მახსოვს." ეს ისე ვთქვი, თითქოს ყელზე მაგიდის ფეხს მაჭერდნენ. „რა თქმა უნდა..." დგება და გადის. არადა, პირველად მოვახერხე მისთვის სიმართლის თქმა. დილამდე აღარ მინახავს ოთახიდან გამოსული. მეც მთელი ღამე ასე ვიწექი...

შეიძლება იქ, პარალელურ სამყაროში გამოთაყვანებამდე მიყვარხარ. შეიძლება, აქაც მიყვარხარ, უბრალოდ, ვერ გხედავ. სახეზეც აღარ მახსოვხარ,

თორემ ვცდიდი და მოგძებნიდი. ალბათ ლამაზი ხარ, ლიფტით მზავრობ და ნაქსოვი ჯემპრები გიყვარს. შენი საყვარელი ფერი იქნება ლურჯი... ახლა გავალ და ყველას, ვინც შემხვდება, საყვარელ ფერს ვკითხავ. ამით შეიძლება გარკვეული კატეგორია მივიღო, სადაც უნდა გეძებო, მაგრამ, იქნებ შენ მიცნო? აი, მოვდივარ და გეკითხები „შენი საყვარელი ფერი ლურჯია?" შენ რა რეაქცია გექნება ამ დროს? შენ ალბათ ჩათვლი, რომ ბოლომდე დაგივიწყე, საყვარელი ფერის და ბავშვური ოცნებების ჩათვლით. მიბრუნდები და წყნარად გაყვები გვერდით მდგომ კავალერს, იქ, სადაც მე უკვე ვეღარაფერს ვხედავ... გავრბივარ ქუჩაში და პირველსავე შემხვედრ გოგონას ვეკითხები „შენი საყვარელი ფერი ლურჯია?"„ნარინჯისფერი" მპასუხობს ის და მოწყალედ მიღიმის. ალბათ იმიტომ, რომ, კავალერი არ ახლავს. აზრი არა აქვს. სახლში ვბრუნდები და დერეფანში ისე ვდგები, რომ ოთახებმა წონასწორობა არ დაკარგონ, რომ ერთმა მეორე არ გადაძლიოს. მხოლოდ საკუთარი ქოშინი მესმის.

„ჩვენ დავქორწინდით?" ვეკითხები. ხმამაღლა იცინის. ისტერიკაშია. ჩემი მუხლებიდან დგება და კაბას ისწორებს. „ბოლო დროს სულ ეგ თეთრი ფეხსაცმელი რატომ გაცვია?" ისევ იცინის. „არ მოგწონს?... მე კიდევ, მეგონა, რომ მოგწონდა." ვუკიდებ. საფერფლეს მაწვდის და უცებ სერიოზულდება. „ალბათ, გავცივდი და იმიტომ." თმას ისწორებს. „შენ კიდევ, მგონია, რომ ჯერაც თბილი ხარ, უბრალოდ, მე ვეღარ ვგრძნობ ამას..." ის იფარებს ხელებს სახეზე... მერე იცინის. კოვზით კედელს ფხაჭნის. იცინის. „არა, მე მართლა არ მახსოვს არაფერი." ნაწყენი ხმით გამომივიდა. „ოჰ, კარგი რა..." ის გადის და კედელს მიაყოლებს თითებს. ოთახში კიდევ დიდხანს რჩება

მისი სუნი.

პირში ნარწყევის საშინელ გემოს ვგრძნობ და თვალებს ამის მერეღა ვახელ. ჭერი ჭერია. ალბათ თეთრი იმიტომაა, რომ ზევით აწეულ ხელებს ბოლომდე გასდის ფერი. მაშინ გამჭირვალე უნდა იყოს. ცა ზედმეტი ბედნიერებაა, მაგ დონეზეც არ აუწევიათ ხელები. „თან მხოლოდ ხელნაწერები ჰქონდა... უამრავი ხელნაწერი...” თანდათან სიტყვებსაც ვარჩევ. ის, ვინც ეს სიტყვები თქვა, გავიდა.

„როგორ ფიქრობ, მართლა წერდა?” ეს ჩემი ხიდის ნაცნობია. ჩემს გვერდით წევს. თითქოს მას ყველაზე მეტად ვიცნობ ამ უცნობ ხალხში. „ხიდზე აღარ ხარ?“ ვეკითხები და საკუთარ თავზე ვბრაზდები. სულ ხიდზე ხომ არ იდგებოდა?! „შეუხედავები აღმოჩნდნენ.” მპასუხობს. თავი მტკივა. მგონი, თავის ტკივილი არც ადრე იყო ჩემთვის უცხო. „როგორ ფიქრობ, მართლა წერდა?” უპარსავი სახე კიდევ უფრო ახლოს მოაქვს ჩემს ბალიშთან. ცოტაც და ყურში შემიძვრება. „იქნებ, ეს მხოლოდ მამიდამისის დიაგნოზებია?” რამე უნდა ვთქვა, თორემ პასუხებსაც თვითონ მოაყოლებს. ყველამ იცის პასუხები, ჩემ გარდა. ვიხსენებ. იმ მოსაწყენ საღამოს გვერდიგვერდ ვიდექით და წითელ ღვინოს ვსვამდით. ვიღაც ავტორები ჩაიკითხეს და ის გაბრაზდა. ვამშვიდებდი. ვცდილობდი, რაც შეიძლება გულგრილი სახე მქონოდა ამ მასკარადთან მიმართებაში. ის გაცოფებული იყო. მერე მე ნაცნობი შემხვდა. გადამკოცნა. ისიც კი ვუთხარი, რომ, კარგად ვარ. მერე... მერე მგონი წამოვედი... „რაში გაინტერესებს ეს მესამედი მილიმეტრი? ის მხოლოდ ბზარია, შუბლის ძვალზე და შიგნიდან.” ისეთი სახით მიყურებს, თითქოს, იმედები გავუცრუე. „მაგ ლოგიკით, ჩვენ ყველას დაფშვნილი გვაქვს შუბლები.” მეუბნება და სახეს ბალიშში რგავს. არაპროპორციული სიჩუმე ჩამოვარდა. ჩემთვის იმდე-

ნია, მას კი თითქოს არ ყოფნის. ახლა განსხეულდება. ხალათს მოიცვამს და ყველა ტუმბოს ფანჯრიდან ისვრის. გაზეთი მაინც მოეტანა ვინმეს...

„მოკალი ის ძუკნა?" არ ვიცი, ასე უხეშად რატომ ვთქვი. აღარაფერი მიპასუხა.

მერე, როცა წამოვედი, უზარმაზარ დავთარს მოვაფრიალებდი. გამომწერეს თუ გადამწერეს ვერ გავიგე. კიდევ უფრო შორს ვიყავი საკუთარ ორიგინალთან. მინდოდა ყველა გამვლელი გამეჩერებინა და მეხაერბინა" - მე ასლი ვარ!" ისინიც კი, ვინც სიხარული საერთოდ არ იციან და მხოლოდ იმიტომ დადიან, რომ ოდესმე ასანთი გთხოვონ. ამასაც აქვს თავის წონასწორობა. ჩვენი ბინა მეთორმეტე სართულზე იყო, ეს მახსოვს. სახლში არავინაა. მოვა და თავის პარკებს მოიტანს, მკერდზე მიხუტებულს. ოთახის ცენტრში ოთხზე ვდგები და ვიწყებ ტელეფონის ძებნას. ტელევიზორში ამბობენ, რომ რაღაც გაიაფდა. კუდი რომ მქონდეს, გავაქიცინებდი. ტელეფონი მაგიდის ფეხთან იყო. დავურეკავ და ვეტყვი, რომ დაკავებული ვარ ჩემი თავით და ალბათ მაგიტომ გავს ყოველი დღე პიცის ერთჯერად კოლოფს. აი, ის ლაქებიც, შარვალზე, პომიდვრის კვალია, ასე რომ შეაშინა. ვეტყვი რომ...

მიუწვდომელია...

ახლა ლიფტი გაჩერდება, გასაღების გადატრიალების ხმა და შემოვა. მინდა მიხვდეს, რომ სექსის გარდა სხვა რაღაცეებიც მაინტერესებს. მინდა მითხრას, რას ფიქრობს ჩემზე, საკუთარ თავზე ან ამ ხალიჩაზე. მე მოვუყვები ამბებს ჩემი ცხოვრებიდან, რომელიც არ მახსოვს. ან იქნებ, მან ჩემზე უკეთ იცოდეს ეს. ჰაერს ძლიერად ვისუნთქავ და ცალ ფეხზე ვდგები. ვცდილობ, წონასწორობა შევინარჩუნო.

„რას აკეთებ?" მეკითხება ის. არც ლიფტის ხმა გა-

მიგია და არც გასაღების გადატრიალება. გულზე ქაღალდის პარკები აქვს მიხუტებული... „ზევით აწიე ხელები.” დაჟინებით ვეუბნები. „რაა?“ „ზევით აწიე ორივე ხელი და დატრიალდი.” ზუსტად ასე იქცევა. პარკები იატაკზე ცვივა. ერთი ვაშლი ჩემს ფეხებთანაც მოგორდა. ის კი ტრიალებს და საოცრად ლამაზია. მე უამრავი კითხვა მაქვს, იმიტომ, რომ არაფერი მახსოვს, მაგრამ, ესეც მავიწყდება და ვუყურებ. ფეხზე თეთრი ქოშები აცვია და ტრიალებს. მერე უცებ ჩერდება. კიდევ უფრო ღიაა და კიდევ უფრო უფერული. „სად იყავი? სად იყავი ამდენ ხანს?“ ეს კითხვა თრომბივით გაიჭედა და სხვა უამრავი კითხვა მიღმა რჩება. ის კი დგას და მიყურებს. „გირეკავდი, შენ კიდევ, არასოდეს მპასუხობ.” აი ასე შეუძლია იყოს, დაპაუზებული კადრივით. მგონია, რომ ყველაფერი შეუძლია, იმის გაგების გარდა,რომ არაფერი მახსოვს. „მე სადარბაზოს ჭუჭყიან ფილებზე ვწევარ და შენ ეს იცი“... იღიმის. ეს ღიმილი ყველაზე მეტად მეცნობა. წონასწორობა. აი, რა გჭირდება, რომ არ გაგიჟდე, როდესაც საყვარელ ადამიანს შენიდან უშვებ... სინამდვილეში, ყველა თვითონ იგონებს თავის ცხოვრებას. შეიძლება, ერთი ყდის ქვეშ, მაგრამ, სხვადასხვა ფაილებში...

“რატომ არ პასუხობ ტელეფონს?...

შარვალი ჩაიცვი...

ჩაიცვი ეს ოხერი შარვალი და რამე სასიამოვნო მითხარი...

მითხარი, რომ, მთელი ცხოვრება ასე იქნები, ჩემს ფეხზე დაბმული ძაღლივით...

„რომელი ხარ?“

2013

სარჩევი

მელანქოლიური ოცნების გუშაგი, მშვიდი ედრიენი და მარტოსული კაბინო...	3
კატა	15
კუმ სანოლს მიაშურა	31
ნონასნოროობა	61

БЗПВВВ-2011
GEOSIBIR-2011

ISBN 978-0-00-000000-2
9 780000 000002